საქართველო

წლიწადი მეხუთე
შაბათი, 23 მარიამობისთვე 1919 წ. № 180
ფასი 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება 180 მან. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა—2 მ. 50 კ ნისია განცხადებები 3 მ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 60 მ. მისამარ-გამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი:—თბილისი „საქართველო“.

ტელეფონი № 15—73.

კვირას 24 აგვისტ. ქართულ კლუბის საზაფხულო შენობაში

გაიმართება სრულიათ საქართვ. მწერალთა დღეობა

საკონცერტო დარბაზი:

1. ქართული სიტყვის სიმფონია: ყველა ქართველი მწერალი დღეობაზე.
2. მსოფლიო პოეზია: ლექსებს წაიკითხავენ: ფრანგი, ინგლისელი, იტალიელი, გერმანელი, რუსი, სომეხი თათარი, თურქი, ელინელი, სპარსელი, მთიელი ოსი და სხვა ტომის პოეტები.
3. ბალეტი: ყველა ეროვნული ცეკვა:

ლეკური
ნაური
მოზდოკი,
უზუნდარა
ესპანური
რუსული
მალოროსიული
ნორვეგული
ებრაული
რუმინული
სომხური
ტანგო არგენტინა

ცეკვისათვის მოწვეულნი არიან საუკეთესო ძალები როგორც ადგილობრივი ისე ბაქოდან მთიულეთიდან და ბათომიდან.

გრანდიოზული სეირნობა

პოეტების კარნავალი, იტალიანური ბალაგანი. „პეტრუშკა.“ ოთხი თუთიყუში საბედო ფურცლები. ყვავილების ნიაღვარი. ლექსები მეტეორიტები. ლატარია კარუსელი. სპეციალური კრებული: ყველა ქართველ მწერლის ხელთნაწერი და ფაქსიმილე ავტორების სურათებით. ერთი ნომერი „ქართული მოდებისა“. ოცდახუთი მოდელი შესრულებულ იქნება მხატვარ ლადო გუდიაშვილის მიერ. მწერლების მიერ ულამაზეს ქალის არჩევა. მომგებიანი ლატარია: 20 ფულიანი მოგება. პირველი მოგება ორი ათასი მანეთი. ლიტერატურული დუქანი: „ქართული ბოგემა.„ ბალის შუაგულში საწნახელი კრიშონით სავსე. მილიონი ექსპრომტი ყველა ენაზე. არა ჩვეულებრივი აუქციონი. და მრავალი სხვა. ღამის პირველ საათზე დაიწყება ბანკეტი რომელზედაც მოწვეულია ასი მწერალი სხვა და სხვა ტომის.

მუსიკა ევროპიული და აზიური. დასაწყისი კონცერტის საღამოს 9 საათზე. სეირნობა დილამდის.

დღეობის ქალბატონები: ქეთევან ამირაჯიბისა, მარიამ კვინიტაძისა, ალექსანდრა მელიქიშვილისა—ჰერცოგინი ლეიხტენ ბერგისა, ელისაბედ ორბელიანისა, ნინო გაბაშვილისა, თამარ მაყაშვილისა.

საღამოს პრეზიდენტი კოტე მაყაშვილი

(3—163—1)

დელეგაცია გასაგზავნია

ევროპაში საკმაოდ და სათანადოთ წარმოდგენილი არ ვართ. მეტად სუსტი და ცალმხრივი მუშაობაა იქაც, სადაც წარმომადგენლობა გვყავს; სრულიად არავითარი ისეთ ქვეყანაში, როგორიც ინგლისია. არსად არ არის საზოგადოებრივი აზრი ისეთი გავლენიანი და ყოვლის შემძლე, როგორც ინგლისში და არც რომელი წევრი ანტანტისა თავის სახელმწიფოებრივი ინტერესით ისე დაახლოვებული და დაინტერესებული არ არის საქართველო—ამიერ-კავკასიით, როგორც ინგლისი. ეს ორი გარემოება რომ კარგათ შეგნებული გვქონოდა, იმ თავითაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა ინგლისისათვის მიგვექცია და ენერგიულად შევსდგომოდით საქართველოზე მისი საზოგადოებრივი აზრის შემზადებას; ამის მაგიერ, ჰორიზონტიდან მიგვეშალა ეს დიდი ქვეყანა, რომელიც ისტორიამ აღჭურვა, სხვა თავის მოკავშირეებთან ერთად, ჩვენი ბედის გარდამწყვეტის ხარისხით. და თუ დღეს ინგლისში რამე იციან ჩვენს შესახებ, ეს არის ან ჩვენი პოლიტიკური მტრების, ან ჩვენი სინამდვილესთან გაუცნობ ნეიტრალ პირთა ცნობები. საქმე ისე მოეწყო, რომ პირველთა ინსინუაციებსა და განზრახ ყალბ ცნობებს დაერთო მეორეთა უნებლიე შემცდარი ცნობები; და როგორც ინგლისის ოფიციალური წრეები, ისე არა ოფიციალურიც გაიჟღინთა ამ ყალბის იმფორმაციით. ინგლისში შესდგა საზოგადოებრივი აზრი ფაქტიურად და ისტორიულად შემცდარი და პოლიტიკურად ჩვენთვის მეტად არა-ხელსაყრელი. დღესაც ჩვენი ქვეყანა იმყოფება ამ გარემოების მეტად მავნებელ შედეგების ზედგავლენის ქვეშ. ამის წინააღმდეგ არავითარი ზომები მიღებული არა გვაქვს და ვმცონარეობთ იმ იმედით, რომ ამდენ ცუდის მთქმელთა შემდეგ ერთი მადლიანი კაცი როგორ არ გამოჩნდება, რომელიც ჩვენზე სიმართლეს იტყოდეს. ვართ ამ იმედით, როგორც „დოყლაპიები“ და არავითარ აქტივობას არ ვაპირებთ. ეს უაქტივობა და უინიციატივობა, შედარებით რომ ავიღოთ, მთელი ჩვენი საგარეო პოლიტიკის დამახასიათებელია და ღრმა ფესვები უდგას თვით ჩვენს პსიხიკაში. როგორც ერი და სახელმწიფო, პირველად შევხვდით ინგლისს; მისთვის ნამდვილი „terra incognita“ ვართ. და ჩვენი თავის გაცნობას ჩვენ კი არ შევეცადეთ, არამედ ჩვენი მტრები და ცუდათ გაგებული ნეიტრალი პირები. კვლავაც ამ მდგომარეობაში ვაპირებთ დარჩენას. ყოველ შემთხვევაში, სათანადო წრეებში „ბაიბური“ არ ისმის, რაიმე პრაქტიკულ ნაბიჯს დგამდნენ ამ მიმართულებით. ჩვენი მიზანია ჩვენი მთავრობისა და კერძოდ საგარეო საქმეთა სამინისტროს ყურადღება ამ დიდ ნაკლს მივაქციოთ. საქმე არ არის ძნელი განსახორციელებელი. დიდი მსხვერპლი, ან არა-ადამიანური ძალა-ენერგია მას არ სჭირდება საამისო კაცებიც მოიძებნება ჩვენს ქვეყანაში და სახსარიც. საჭიროებით-კი, დიდათ და უაღრესად საჭიროა; პირველ მნიშვნელობის საკითხია. მაშ რაშია საქმე? ან იმაში, რომ სათანადოთ ვერ დაგვიფასებია სწორი იმფორმაციის სარგებლობა, ან იმაში რომ გვიმძიმს უბრალო მოქმედება, კუნთების დაძვრა. ან იქნებ ერთიც და მეორეც ერთად გვჭირდეს. რომელი ერთი განაგულვებიც არ უნდა იყოს მართალი, ცუდად გვახასიათებს,—დროის, გარემოების და თანამდებობის შეუფერებლობა იქნებოდა! რომ ერთი წერილით ასეთი ორგანიული ნაკლის გამოსწორების იმედი გვქონდეს,—ვერ ვიტყვით, მაგრამ ყველამ თავისი უნდა სთქვას: ჩვენ აუცილებელ საჭიროდ მიგვაჩნია, რომ ჩვენმა მთავრობამ შეადგინოს საგანგებო დელეგაცია ინგლისში გასაგზავნად, რომელიც წარმოადგენდეს საქართველოს მრავალსახიანობას. საქმიანი, ტრადიციული და პოლიტიკური საქართველო, აი ვინ რა უნდა წარმოადგინოს ჩვენმა დელეგაციამ ლონდონში ღირსეული, მცოდნე და განათლებული პირების სახით. თავის სინდისის მარტოობაში, შეუძლებელია ჩვენი მთავრობა არ გრძნობდეს, რომ ერთფეროვნულად სოციალისტური და რევოლიუციური ბაგით მოლაპარაკე ოფიციალური დელეგაცია, ოფიციალური და საზოგადოებრივი ანტანტის წინაშე არამც თუ არ ამოსწურავს საქართველოს ინტერესს, არამედ ართულებს კიდეც ჩვენი საკითხის გადაჭრას.

დაიჯერებთ, რომ ამას პარტიული პსიხოლოგია არ გვალაპარაკებს?! თუ ინგლისში დელეგაცია გაიგზავნება—და უნდა კი აუცილებლად გაიგზავნოს—იგი უნდა წარმოადგენდეს, რამდენადაც შესაძლებელია, საქართველოს საქმიანობისა და მის პოლიტიკური გამჭრიახობის ოპტიმუმი შეზავების კრებულს. ამისთვის შერჩევაა საჭირო, ყველა არ გამოდგება. ლონდონის საქმიან წრეებში საქართველოს ბუნებრივ-ეკონომიურ და სოციალ-ეკონომიური ღირებულება დამარწმუნებელი ცოდნა-გამოცდილების სამკაულში უნდა წარსდგეს, ამ დელეგაციის საშუალებით; ამგვარივე ღირსებით და ძალით უნდა წარმოადგინოს ჩვენმა დელეგაციამ პოლიტიკურ-ისტორიული საქართველო ლონდონის პოლიტიკურ წრეებში. მანვე უნდა მოაწყოს გამწევ მომქმედი ვრცელი ინფორმაცია გაზეთების, ბროშურების და კრებების საშუალებით ინგლისის საზოგადოების სხვადასხვა წრეში. ყველაფერი ეს საჩქაროა, მეტად საჩქარო.

ნეტამც ეს წერილი კარგ ვარსკლავზე დაწერილი იქნებოდეს და საგარეო სამინისტროში სიზმარი აგვისრულდებოდეს!

სომხები და მუსულმანები

გაზეთებში დაბეჭდილია სომხეთის ახალი მთავრობის განცხადება და ამ განცხადებით გამოწვეული მეტად საყურადღებო კამათი სომხეთის პარლამენტში. მთავრობის განცხადება უმთავრეს ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ სომხეთის სხვა და სხვა ადგილას გაჩაღებულია ბრძოლა მეზობელ მუსულმანებთან, სამშობლო განსაცდელშია, აღიარებს და მოიწვევს მთელ ხალხს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისაკენ მობილიზაციისათვის.

მართლაც, სომხეთის მდგომარეობა მეტად მძიმეა და ჩვენთვის, ქართველებისათვისაც მეტად საფიქრელია. სულ სხვაა გარეშე ძალთა დახმარება, რომლის იმედი სომხებს აქვთ და ჩვენც გვაქვს. რა დახმარებაც არ უნდა იყოს გარედან ჩვენ მაინც თუ გვსურს, ჩვენი თავისუფლება შევინარჩუნოთ და განვამტკიცოთ, მოვალენი ვართ ვაწარმოვოთ განსაზღვრული პოლიტიკა მეზობლობაში.

საქართველოს მთავრობა და ქართველი ერი პირველი დღიდან დამოუკიდებლობის გამოცხადებისა დაადგა მეზობლებთან შეთანხმების და შეკავშირების გზას. სამწუხაროდ, ადვილი არ გამოდგა ამ გზით სიარული, მაგრამ მაინც რამდენადმე მიზანს მივაღწიეთ. აზერბაიჯანი და საქართველო შეკავშირდნენ და ეჭვი არ არის ამ კავშირის სიმტკიცეზე ბევრად დამოკიდებული იქნება ჩვენი მომავალი ბედი. სწორედ ამ კავშირის წყალობით შეგვეძლება გავუმკლავდეთ ჩრდილოეთის საფრთხეს. სამწუხაროდ, სხვა და სხ. მოსაზრებით სომხეთის რესპუბლიკა განზე გადგა და თავის ბუნებრივ მეზობლებთან შეთანხმებას მოერიდა. პირ იქით, ამ ბოლო დროს დაჟინებით ამბობენ, თითქო სომხეთსა და დენიკინ შორის საიდუმლო ხელშეკრულება იყოს დადებული. ლაპარაკი არ უნდა, თუ ასეთი ხელშეკრულობა არსებობს, ის მიმართული იქნება საქართველოს და აზერბაიჯანის თავისუფლების წინააღმდეგ. ვფიქრობთ, ვერც სომხეთი დაამკვიდრებს თავის ეროვნულ დამოუკიდებლობას დენიკინთან შეკავშირებით. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ აქ გვსურს ყურადღება მივაქციოთ სომხთა და მუსულმანთა შორის ბრძოლის ერთს მხარეს. ეროვნული ბრძოლა ახალი ამბავი არაა, ის სწარმოებს დედამიწის ყოველ ნაბიჯზე, ხოლო, რასაკვირველია, სხვა და სხვა ადგილს და სხვა და სხვა ისტორიულ ხანაში ის სხვა და სხვა სახით სწარმოებს. კაცობრიობის საერთო კულტურულმა ამაღლებამ არსებობისთვის ბრძოლის მეთოდები გააპატიოსნა, გააფაქიზა და დაამყარა ზოგიერთი ძირითადი პრინციპები, რომელთა გადალახვა კულტუროსან ადამიანისათვის ყოვლად შეუძლებელია. ასეთია, მაგ. ოჯახის, ქალების და ბავშვების, თუნდა უიარაღო, მშვიდობიან მამაკაცების ხელშეუხებლობა. სამწუხაროდ, სომეხ-მუსულმანთა ბრძოლაში ამ კულტურულ მხარეს სულ არ აქვს ადგილი. ორთავე მხრიდან ბრძოლას ისეთი ბარბაროსული, უკიდურესად მხეცური ხასიათი აქვს, რომ ადამიანს ყოველივე საშინელებას აგიწყებს და თუ მოგვაგონებს, ისევ ერთად ერთ მოვლენას, რომელსაც რუსეთში ადგილი აქვს და რომლის სახელი ევროპიელებმა ვერ იპოვეს და ისევ „პოგრომს“ უწოდებენ. გულშემზარავი სანახაობა იშლება თქვენ წინ, როცა ხედავთ მშვენიერად გაშენებულ სომხის სოფლებს აოხრებულს, გაპარტახებულს და გავერანებულს. ისევე სამწუხარო სურათებს წარმოადგენს ბევრი თათრული სოფელი. ცხადია, ორთავე მხარეს ერთმანეთი არ დაუზოგავს და ერთმანეთის ამოგდებას ცდილა.

ასეთ მოვლენებს ქართველი ერი წინედაც გულგრილად ვერ უყურებდა. დღეს კი, როცა ასეთ ურთიერთობას ჩვენ მეზობელთა შორის მეტად ცუდი გავლენა აქვს ჩვენს პოლიტიკურ მდგომარეობაზე, გაცილებით უფრო მეტი ყურადღებით უნდა მოვეპყრათ და ყოველი საშვალება უნდა მივიღოთ, რათა ორივე მხარე ვაიძულოთ კეთილ მეზობლური განწყობილება დაამყარონ ერთმანეთ შორის.

პ. სურგულაძე.

მთავრობის წრეებში

16 მარიამობისთვეს სხდომა.

სხდომას დაესწრენ მთავრობის თავმჯდომარის მაგიერ ბ-ნი კანდელაკი; მინისტრის ამხანაგები: ბ-ნნი ავალიანი, ჰეჩინაძე, საბახტარაშვილი, ერაძე, ზედევანიშვილი, გელეიშვილი, ცინცაძე, სოლოროვი, ქარცივაძე; საქმეთა მმართველი კ. ჯაფარიძე. მდივნობს დ. ლომთაძე.

მოხსენება ფინანსთა მინისტრისა.

საქციზო სამმართველო.

მოხსენება, სოხუმის ოლქის საქციზო სამმართველოს მოსაწყობად და შტატის შესანახად 14041 მან. 66. კაპ. გადადების შესახებ ამა წლის 1 აგვისტოს 1920 წლ. იანვრის 1-მდე, მიღებულ იქნას, მხოლოდ მოსამსახურეთა ჯამაგირი გადიდდეს არსებულ კანონის მიხედვით. საჭირო თანხა გადაიდოს ათ მილიონიან ფონდიდან.

მოხსენება გზათა დეპარტამენტის დირექტორისა.

მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება.

ბათომ-ნატანების რკინის გზის მუშა მოსამსახურეთ დღიდან ბათომ-ნატანების რკინის გზის შტოს საქართველოს ხელში გადმოსვლისა ე. ი. ამა წლის 15 აპრილიდან მიეცეთ რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთათვის დაწესებული დღიური სარგო იმ ნორმებით, როგორც მაშინ არსებობდა საქართველოს რკინის გზის მოსამსახურეთათვის, ხოლო ამა წლის 25 ივლისიდან მთავრობის 25 ივლისის დადგენილებით გადიდებულ ნორმების მიხედვით. ეს დადგენილება მიჩნეულ იქნას დროებით ზომათ და ძალაში დარჩეს მანამდე, სანამ ბათომ ნატანების რკინის გზის შტო ეკონომიურად გაუერთდება საქართველოს რკინის გზებს.

მოხსენება შრომის მინისტრისა.

ხელფასის ახალი ტარიფი.

სახელმწიფო ლითონის წარმოების მუშა მოსამსახურეთათვის დაწესდეს ამა წლის 1 ივლისიდან შემდეგი ხელფასის ტარიფი დამტკიცებული სატარიფო პალატის მიერ ამა წლის 24 ივლისს: 1) კატეგორიის გარეშე მყოფი უმაღლეს ხარისხის ხელოსნები 1880—2000 მან. 2) კვალიფიური მუშები: პირველი ჯგუფი: 1-ლი კატეგორია 8—10 2-რე 7—85. მეორე ჯგუფი: 1-ლი კატეგორია 7—45, 2 რე 7—10. მესამე ჯგუფი 1-ლი კატეგორია 6—75, 2-რე 6—50 მეოთხე ჯგუფი 6—05, მეხუთე 5—40, 6—05. მეექვსე ჯგუფი (შავი მუშები): ცხელ წარმოებაში 5—50, ცივ წარმოებაში 5—40. მოწაფეები 6 თვემდე 3 მან. 6 თვიდან 1 წლამდე 3—25, 1 ნახ. წლიდან 2 წლამდე 3—80, 2 წლიდან 2 ნახ. წლამდე 4—20, 2 ნახ.—3 წლამდე 4—40 დარაჯნი (თვიური ჯამაგირი): 1 კატეგორია 1100, 2-რე კატეგორია 1000, 3-მე—900, კონტორის მოსამსახურენი 1-ლი კატეგორია 1250—1400, 2-რე 1100 1250, 3-მე 1000—1100-ს 4-ე 900—1000. მხაზავები: ა) მხაზავები კონსტრუქტორები 1400—1500, ბ) მხაზავები 1200—1300, გ) მხაზავები გადამღებნი 909—1100 მ. იმ უწყებებს, რომელთა გამგებლობაში არის ასეთი წარმოება დაევალოს გამოითხოვონ საჭირო კრედიტი.

მოხსენება მომარაგების მთავარი გამგისა.

სიმინდის დამზადება.

მიეცეს აფხაზეთის კომისარიატს უფლება სიმინდის გამოზიდვისა სანამ 200.000 ფუთს ჩაგვაბარებენ. სასურსათო საბჭომ უნდა დაუდვას კომისარიატს ვადა, რომლის განმავლობაში ხელშეკრულება უნდა შესრულდეს და აცნობოს მომარაგების მთავარ სამმართველოს.

პურის დამზადება.

პურზედ მონოპოლიის დაუყოვნებლივ შემოღება აწ არსებულ პირობებში მიუღებელი არის. ორგანიზაციას საფუძვლათ უნდა დაედვას მთავარი ცენტრი, რომელიც აწარმოებს, მთელ ოპერაციებს ადგილობრივ. ასეთ ხელმძღვანელ ცენტრათ უნდა იქნეს მთავარი გამგეობა. პასუხის ოპერაცია და წარმოება დაევალოს ადგილობრივ ერობას, რაიონთა კოოპერატივებს, დამმზადებელ აპარატებს, სახალხო გვარდიასა და აგენტებს რწმუნებულთ მთავარ გამგისა. პურის დამზადება უნდა სწარმოებდეს საერთო წესით და ინსტრუქციით შემუშავებულით მთავარ გამგეობის მიერ ფასები პურზედ არ უნდა იქნეს წინასწარ განსაზღვრული.

მთავარ გამგეობის რწმუნებულთა განკარგულებაში უნდა იქნეს გადებული საჭირო თანხა, რომელიც გადაეცემა ორგანიზაციებს პურის ჩაბარებისთანავე. პურის დასამზადებლათ არსებული ადგილები უნდა დაყოფილ იქნას რაიონებათ და ამ რაიონებში პურის სყიდვა დამზადება უნდა მიენდოს განსაკუთრებულ ორგანიზაციებს და კერძო პირებს მთავარ გამგეობის მიერ შემუშავებულ გეგმის და მიხედვით. საჭირო არის პურის დამმზადებელ ორგანიზაციების განკარგულებაში გადაეცეს საკმაო რაოდენობა სოფლათ საჭირო საქონლისა პურზედ გადასაცვლელად, დაევალოს მომარაგების მთავარ სამმართველოს უფრო ვრცელი ინსტრუქციის გამომუშავება.

კავკასიის რესპუბლიკები და იტალია

იტალიურ მოპულიარულ გაზეთ „N secolo„-ს მკათათვის 4-ის №-ში დაბეჭდილია გაზეთის პარიზელ კორესპონდენტის ცნობილი იტალიელი მწერლის გ. ანდრიალლის წერილი სათაურით „კავკასიის რესპუბლიკები და იტალია“. მოგვყავს წერილი სრულიად:

„ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე აღმოცენებულ სახელმწიფოთა ნოტას, რომელიც მათ საზავო კონფერენციას წარუდგინეს, შეუერთეს თავისი ნოტა სხვათა შორის ჩრდილო-კავკასიის, საქართველოს და აზერბაიჯანის რესპუბლიკებმაც,

აცხადებდნენ რა კმაყოფილებას იმაზე, რომ მოკავშირეებმა პრინციპიულად იცნეს კავკასიის ტერიტორიულ ერთეულების უფლებად რუსეთთან შეთანხმების უფლება მათი მომავალი შინაგანი წყობილების გამო, ისინი აცხადებდნენ „რომ კავკასიის სახელმწიფოებს, რომელთაც თავისი დამოკიდებულების დასაცავად ბევრი მსხვერპლი გაიღეს, მტკიცედა სწამთ, რომ მათი დამოკიდებულობა აღიარებულ იქმნება“. დეკლარაცია განაგრძობს „კავკასიის რესპუბლიკებს თავის მომავალ მფარველად ხალხთა ლიგა მიაჩნიათ, რომელიც კავკასიის ყელს უზრუნველჰყოფდა შემოსევისაგან და მასზე დააწესებდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის გზას“.

დენიკინის საფრთხე.

კონფერენციამ, რომელიც თბილისშია მოწვეული, უნდა მოაწესრიგოს როგორც საერთო საქმეები, ისე ის ფორმა, რომელშიც ჩამოყალიბდება მომავალი ამ სახელმწიფოთა, ასეთივე მუშაობა სწარმოობს პარიზის დელეგაციათა შორისაც.

ამ მუშაობას ხელს უშლის მხოლოდ ის სამხედრო მოქმედებანი, რომელიც ძალა-უნებურად გამოწვეულია დენიკინის მოხალისეთა ჯარის საქციელით. ამ ჯარმა თითქმის დაიჭირა მთელი წინა კავკასია და იგივე ჯარი ეხლაც საფრთხეს წარმოადგენს ამიერ-კავკასიისათვის.

კავკასიის ერთა წარმომადგენელნი იმედოვნებენ, რომ დენიკინის ჯარს მიეცემა აქედან ბრძანება, რომ მან დაჭერილი ოლქები დასცალოს და კავკასიის რესპუბლიკათა უფლებებს მეტის პატივისცემით მოეპყრას, რადგან დენიკინს მოხალისენი იარაღს და ფულს სრულიად კავკასიის საწინააღმდეგო მოქმედებისათვის არ აწვდიან“.

ნოტა სრულდება სურვილით, რომ ადგილობრივი მოსახლეობა მჭიდროდ დაჰკავშირებოდა იქ მყოფ მოკავშირეთა ჯარებს და რომ დახმარება და თანამშრომლობა მოკავშირეთა სარდლობასა და ადგილობრივ მთავრობათა შორის უფრო განმტკიცებულიყოს.

ამ ნოტამ პირველ ყოვლისა იტალიის მთავრობის ყურადღება უნდა მიიქციოს. მკითხველნი მოიგონებენ, რომ ქართველ წარმომადგენლებთან ბაასის შემდეგ პარიზში უპირველესად ჩვენ მივაქციეთ ყურადღება იმ დიდ სარგებლობას, რომელსაც იტალიას მოუტანს კავკასიის სახელმწიფოთა დაარსება. შემდეგ ამ სახელმწიფოთა მდგომარეობაზე მეტის სიმპატიით მსჯელობდნენ იტალიის პრესაში და სწორედ იტალიის მთავრობა, იყო რომელმაც პირველმა შეისწავლა იტალიო-კავკასიის ურთიერთობის პრობლემა.

როგორც ცნობილია ოსმალეთთან დაზავების შემდეგ ინგლისის ჯარები კავკასიაში დაბანაკდნენ სხვადასხვა ქალაქებში—ბაქოში, აზერბაიჯანში და საქართველოს ქალაქებში თბილისა და ბათუმში. ბოლო ხანებში ეგვიპტის ამბებმა ინგლისი აიძულა, რომ თავი-

ივერიელი ბიბლიოთეკა

ახლად განსვენებულის

ნინო გაბრიელის ასულის ივანიცკის

შვილები, რძლები, შვილის-შვილები და ნათესავები ულრმესს მადლობას უძღვნიან თანაგრძნობისათვის, მონაწილეობისათვის პანაშვიდებში, წირვაში და დაკრძალვაში: მის უწმიდესობას, სრულიად საქართველოს კათალიკოზ პატრიარქს ლეონიდეს, დეკანოზებს: მარკოზ ტყემალაძეს, კალისტრატე ცინცაძეს, კირილე ღვთისავრიშვილს, გიორგი ინაშვილს და მღვდელს ნიკოლოზ მაღალდაძეს და სხვა სამღვდელო პირთ, აგრეთვე ნაცნობთა და მოქალაქეთ, რომელთაც პირადის დასწრებით, სიტყვიერად თუ წერილობით პატივი სცეს განსვენებულს.

(1—161—1)

უკანასკნელი ცნობები

დენიკინმა ქ. ჩერკასი აიღო.

ფინეთის პრეზიდენტმა აგრარიებისა და პროგრესისტებისაგან ახალი კაბინეთი შეადგინა.

რუმინელები რუს ბოლშევიკებზე შესატევად ემზადებიან.

საზაო კონფერენციამ ბულგარეთის ორი ნოტა განიხილა.

სილეზიაში ერთის მხრით პოლონელებსა და გერმანელებს, მეორეს მხრით სპარტაკელებსა და გერმანელებს შორის ბრძოლაა.

დენიკინის ფრონტზე საბჭოთა ჯარი იხევს, ხოლო კოლჩაკის ფრონტზე კი წინ მიიწევს.

სი ფართო საოკუპაციო პროგრამა გადაესინჯა. პირველყოვლისა მან გადასწყვიტა კავკასიიდან ჯარის გამოწვევა და იტალიის სთხოვა მის მაგიერობის გაწევა. ძველმა მთავრობამ ეს პრობლემა უმთავრესად ბატონ ბორზილის მეცადინეობით გაიცნო. დიდი ჭკუის და გამოცდილების დიპლომატი, აღმოსავლეთის საკითხების კარგად მცოდნე—მარკიზი დელა ტორრეტო ყოფილი იტალიის მინისტრი, შეეცადა პარიზში ახლოს გასცნობოდა საქართველოსა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებს და გამოერკვია როგორ შეხვდებოდნენ კავკასიაში განზრახულ იტალიის მისიას. ეხლა ამ მისიას უფრო ფართოდ უნდა შევხედოთ და უნდა გავზომოთ როგორც სამხედრო ისე ეკონომიური თვალსაზრისით.

18 კაცისაგან შემდგარი მისია, რომელშიც შედიოდნენ ტეხნიკოსები თ. დ პოლინიეის მეთაურობით გაემგზავრა კავკასიაში ადგილობრივ პოლიტიკურ და ბუნების კანონების შესასწავლად.

ეს მისია უკვე ჩავიდა კავკასიაში აპრილში, როდესაც იქ საფრანგეთის და ამერიკის მისიები ჩასულიც იყვნენ. არ გასულა თვე ჩვენმა მისიამ უკვე მუშაობა მოაწყო, ამ დროს პოლკ. გაბბა, ტეხნიკოსთა დირექტორი, პარიზში გაიწვიეს სადაც ის თიბათვის პირველ რიცხვებში ჩავიდა.

ამ ხანში ინგლისმა ერთგვარი გავლენა იქონია და მოსთხოვა იტალიას რომ საბოლოო აზრი გამოეთქვა ამ საგანზე, რადგან ინგლისს აზრადა ჰქონდა თიბათვის დამლევს თავის ნაწილები კავკასიიდან გაეყვანა, რაც მოსახლეობას აცნობა კიდევაც.

ყოველ შემთხვევაში ინგლისის ზრუნვამ კავკასიის იტალიაზე გადაცემისათვის ვერ მოიპოვა დიდი თანაგრძნობა მინისტრ ვიგლიოს მხრით, რომელმაც გაზზას თანდასწრებით მოიწვია თათბირი. არ ვიცი რა გადასწყდა ამ თათბირზე. შეიძლება დადგენილება არც კი გამოუტანიათ, თუ ინგლისი არ დასთანხმდა რომ თავის ჯარების გამოყვანა ერთი თვით გადასდოს.

ვფიქრობ, რომ ტიტონი ჩქარა შეისწავლის ამ პრობლემას და არ გადასდებს. ჩვენი მდგომარეობა მეტად უხერხულია. საქართველოს მთავრობა (და სხვანიც) დარწმუნებულნი არიან, რომ იტალიას არავითარი იმპერიალისტური მისწრაფება არა აქვს, როდესაც კავკასიაში მიდის. ამაში ისინი დარწმუნებულნი არიან, რამდენჯერმე განმეორებულ რწმუნებათა და ჩვენი ხალხის ნდობით. მაშ რა საჭიროა ჩვენი ჯარის იქ გაგზავნა?

მათ უნდა დაიცვან ესქვეყნები ვილაცასაგან ესქვეყნები არამც თუ თანხმდებიან ამაზე არამედ მოითხოვენ. მაგრამ ვინ არის ეს ვილაცა? ცხადია, ის ვინც ამ ახალ სახელმწიფოთა მშვიდობიანობას საფრთხეს უმზადებს. ეს იყვნენ ერთ დროს ბოლშევიკები, მაგრამ ეხლა ისინი შორს არიან—ცხადია, ერთად-ერთი რეალური საფრთხე არის დენიკინის ლაშქარი, რომელსაც ანტანტი მხარს უჭერს ბოლშევიკების წინააღმდეგ და რომელიც, ამის მაგიერ აშკარად იკაფავს გზას კავკასიისაკენ მცირე სახელმწიფოთა დამარცხებით. როგორ უნდა შეთანხმდეს კავკასიის დენიკინისაგან დაცვისა და კოლჩაკის ღიარების საკითხი, იმ კოლჩაკის, რომელსაც დენიკინი ემორჩილება. აი ის სიძნელე, რომელიც ჩვენს დელეგაციას აქვს დასაძლევი.

ჩარევის საფუძვლები.

ჩემის აზრით გზა უკვე გაკაფულია, როგორც ამას წინადაც ვწერდი. მტერი ყოველივე სამხედრო ავანტიურისა მე წინდაწინვე არ გავაკრიტიკებ ექსპედიციას, თუ ის დაეყრდნობა უთუოდ ლიბერალურ და კაცთ მოყვარეობის გზას ყოველ შემთხვევაში ჩვენი ექსპედიცია შემდეგ პირობებს უნდა დაეყრდნოს: 1) თუ იცნობენ ამიერ კავკასიის სახელმწიფოთა დამოუკიდებლობას 2) თუ იტალიის ჯარი ამ სახელმწიფოს დაიცავენ მხოლოდ გარეშე ძალის შემოსევისაგან რასაკვირველია ოკუპაცია უნდა იყოს დროებითი ე. ი. იმ დრომდე სანამ გარეშე საფრთხე იარსებებს და სანამ ადგილობრივი ძალები საკმაოდ არ დაირაზმებიან.

მაგრამ ჩვენი დახმარება მხოლოდ სამხედრო კი არ უნდა იყოს. ეს ქვეყნები ჩვენგან პირველ ყოვლისა თანამშრომლობას ელიან, რომელსაც შეეძლება მათი ფინანსების საქმე მოაწესრიგოს.

არსებითად ისინი ეყრდნობიან ფართო კონცესიებზედ და მათ შედიან თადარიგზედ. ხოლო ჩვენ, ჩვენის მხრივ თანახმანი ვართ უსაყვედუროდ გავგზავნოთ იტალიელი ჯარისკაცები; ისინი იქნებიან მოხალისეებად, კარგად დააჯილდოებენ ფულით, და ბრძოლა მათ არ მოუხდებათ. მარტო მათი იქ ყოფნა ფაქტიურად შეუძლებლად გახდის ყოველივე თავდასხმას იმ ხალხებზე და თვით დენიკინიც დაემორჩილა მათ სამართლიან მოთხოვნილებას.

მაგრამ კიდევ ვიმეორებ, სამხედრო ნაწილი უნდა იყოს მხოლოდ ჩარჩო ამ გეგმისა, რომელიც მოითხოვს ნამდვილ მობილიზაციას ფინანსიურს, სამრეწველოს და მუშაობისას. ამ პირობებით ეს გეგმა მიღებული იქნებოდა იტალიის ხალხის მიერ კეთილ სურვილებით კავკასიის ხალხის წინაშე. თუ ჩვენ მოგვიხდა კვლავ სიარული და პროპაგანდის გაწევა საეჭვო რუსულ ფედერაციის სასარგებლოდ, მაშინ ჩვენ მოვიპოებდით მხოლოდ ანტიპატიებს, ხოლო რაც შეეხება ეკონომიურ სარგებლიანობას, ცეცხლიდან ვიშოვიდით წაბლს ინგლისელებისა და ამერიკელთათვის. დანარჩენში, იტალიის ხალხი სიამოვნებით უშველის ახალ ერებს, მხოლოდ ის ვერ მოითმენს იმას, რომ ისინი ამირბარ კოლჩაკს გადასცენ. ჟანდარმების როლს ჩვენ ვუთმობთ სხვას, რომელსაც აქვს ამისი გემო.

ისიდორე რამიშვილთან საუბარი

(დასასრული)

აზერბაიჯანი და მოხალისეთა ლაშქარი.

რაც შეეხება იმ ხმებს, თითქოს აზერბაიჯანის მთავრობა მოლაპარაკებას აწარმოებს მოხალისეთა ლაშქართან,—ჩვენც გავიგეთ ზოგი რამ ამის შესახებ—განაცხადა ის. რამიშვილმა. საქართველოში ამ ხმებმა დაჟინებული ხასიათი მიიღო და ეს გახდა მიზეზი ჩვენი აქ ჩამოსვლისა. ეხლა ჩვენ გამოვარკვევთ, რომ ეს ხმები საფუძველს არის მოკლებული.

ქართველი ნაციონალისტები და „მუსავატი“.

კითხვაზე, შესაძლებლად სთვლიან თუ არა საქართველოში, რომ აზერბაიჯანში დენიკინის ჩამოსვლით ისარგებლებენ ხანები და ბეგები და აღადგენენ თავის უფლებებს, რომელნიც წაართვა რევოლიუციამ და გაჰყიდიან თუ არა თავის ერს—ამაზედ რამიშვილმა განაცხადა:—„მე სულაც არ ვფიქრობ, მათ ეს უნდოდეთ. ჩვენში, საქართველოში, ნაციონალ-დემოკრატები ნაწყენები არიან რევოლუციისგან და აწარმოებენ ბრძოლას ჩვენი სახელმწიფოს მმართველობის ფორმის წინააღმდეგ, მაგრამ მათთვის უფრო ძვირფასია საქართველოს დამოუკიდებლობა ვიდრე მუშებისა და გლეხობისათვის, ამისთვის ისინი ჩვენთან ერთად, უსათუოდ გამოვლენ დენიკინის წინააღმდეგ. ანალოგიური დამოკიდებულება საკითხთან, ჩვენი აზრით, უნდა არსებობდეს „მუსავატის“ პარტიაშიც.

გენერალ ბარათოვის მისსია საქართველოში.

საქართველოში გახმაურებული ბარათოვის მისსია, ი. რამიშვილის სიტყვით, საქართველოსა და მოხალისეთა ლაშქრის შორის მწვავე დამოკიდებულების გასანელებლად იყო გამოწვეული. გენერალთან გვქონდა საუბარი მხოლოდ იმაზე, რომ თუ თვითონ არ დაგვესხმიან, ჩვენ არ წავალთ მათზე

ინგლისელთა დარჩენის თხოვნაზე.

ჩვენი მოტივები, რომელთაც ვხელმძღვანელობდით, როცა ინგლისურ სარდლობას მივმართავდით რათა მათი ჯარები დარჩენილიყო ამიერ-კავკასიაში, შემდეგი იყო:

„გვქონდა რა გათვალისწინებული კავკასიის მოსახლეობის მრავალ ტომიანობა, აგრეთვე გამწვავებული მდგომარეობა სომეხ-თათართა შორის. ჩვენ მოსალოდნელ რეაქციის დროს, გვინდოდა, რათა აქ ყოფილიყო მესამე ძალა, ძლიერ მოკავშირის სახით, რომელიც განამტკიცებდა ამ ეროვნულ დამოკიდებულებებს. იქამდე, სანამ საზავო კონფერენცია არ იტყვის თავის უკანასკნელ სიტყვას

მუშათა და გლეხთა ყრილობისთვის.

დენიკინთან საბრძოლველად, მუშათა და გლეხთა ყრილობა ჩვენთვის მისაღებია, მაგრამ კომუნისტებთან ჩვენ ვერა დროს ვერ მოვრიგდებით.

მთლიანი რუსეთი და ფედერაცია მასთან

მე არ მწამს მთლიან რუსეთის შექმნა იმ გზით, რა გზითაც სწადიან დენიკინს. რუსეთი შეიქმნება მხოლოდ ბუნებრივი გზით და არსებულ ეკონომიურ მიზეზების ზე გავლენით. ამ ნიადაგზე შეიძლება მხოლოდ თავის ნებით დაუბრუნდნენ რუსეთს მისგან გაჩენილი ნაწილები.

მე-3 ინტერნაციონალი

და ფრანგ—იტალიელი სოციალისტები.

სენის სოციალისტურ ფედერაციის კრებაზე, რომელიც მკათათვის 30-ს მოხდა, ირჩეოდა საკითხი, თუ რანაირი დამოკიდებულება უნდა ჰქონოდათ ფრანგ სოციალისტებს მესამე ინტერნაციონალთან.

ლონგემ კრებას გაახსენა საფრანგეთის სოციალისტთა უკანასკნელი კონგრესის დადგენილება, რომ ლენინის ინტერნაციონალს არ შეერთებოდა. ამასთანავე ის ეყრდნობოდა იმ შთაბეჭდილებებს, რომელიც მან მიიღო იტალიაში მოგზაურობის დროს: იტალიის სოციალისტები, რომელნიც მესამე ინტერნაციონალს მიემხრენ, მის გაცნობისთანავე გადაუდგნენ და ეხლა ისევ სოციალისტურ (და არა კომუნისტურ) ინტერნაციონალს აღიარებენ.

ფროსარმა განაცხადა, რომ საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის აღმასრულებელ კომიტეტმა გადასწყვიტა მე-3-ე ინტერნაციონალის მომხრენი პარტიიდან გამორიცხოს.

ქრონიკა

◆ **სომეხ-თათართა ურთიერთობა.** ერევნიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ ნახიჩევანში გაგზავნილ ინგლისელ პოლკოვნიკ ბლადუენის მოლაპარაკებამ თათრებთან უნაყოფოთ ჩაიარა. ნახიჩევანის გზა კვლავ თათრების ხელშია.

◆ **დამატებითი არჩევნები დუშეთის მაზრაში.** დუშეთის მთიან ადგილებში დამატებითი არჩევნები დამთავრდა. სიაში შეტანილ იყო 7815 ამომრჩეველი. აქედან ურნასთან გამოცხადდა მხოლოდ 4255. № 1 მიიღო 4080, № 2 52, № 3—5, 5—117. 8—1, 9—2, 11—1.

◆ **იტალიელი მევენახენი იტალიაში.** ამ დღეებში კახეთში გაემგზავრა იტალიელ მევენახეთა წარმომადგენელნი, კახეთის მევენახეობის გასაცნობათ, ერთ და იმავე დროს ისინი მთავრობასთან მოლაპარაკებას აწარმოებენ რათა მიჰყიდონ მათ კახეთში მიწის ნაჭერი, ვენახის გასაშენებლათ.

◆ **სამეცნიერო კომისია საფრანგეთიდან** როგორც გვატყობინებენ საფრანგეთის მთავრობას შეუდგენია საგანგებო სამეცნიერო კომისია, რომელიც უკვე გამოსულა პარიზიდან. კომისია ჩამოვა კავკასიაში, მათ დავალებული აქვთ ამიერ-კავკასიის ერთა ისტორიულ დოკუმენტების გამონახვა და შესწავლა.

◆ **სეირნობა წაღვერში.** საქართველოს წითელ ჯვართან არსებული დანიის კომიტეტი მართავს 24 აგვისტოსათვის აგარაკ წაღვერში დიდ სეირნობას, ობოლ ბავშვთა თავშესაფრის სასარგებლოთ.

◆ **დაპატიმრებანი.** 16 აგვისტოს სისხლის სამართლის მილიციამ ქალაქის სხ. და სხ. კუთხეებში ჩხრეკა მოახდინა დააპატიმრეს და ციხეში მოათავსეს როგორც საზოგადოებრივ სიმშვიდისათვის მავნე პირები: ი. მუჩაიძე, მამედ ალი-ოღლი, ნიკ. სუკლაშვილი, სოლ. მარკარიანი, მიკირ. აზნაუროვი და სხვანი.

◆ **სისხ. მილიციის უფროსის წასვლის შესახებ.** ამ დღეებში თბილისის სისხლის სამართლის მილიციის უფროსი ბ. ფაჩულია თბილისიდან მიემგზავრება. მისი მოვალეობა დროებით მის ამხანაგს ივ. ჩიხლაძეს დაეკისრა.

◆ **თვითმკვლელობა.** 20 აგვისტოს ფოთის ქუჩაზე მცხოვრებმა აუსტრა ზედგინმა თავი მოიწამლა.

◆ **დაჭრა.** 18 აგვისტოს მალაკანის ქუჩაზე მცხოვრებ ჰასან-ოღლმა დანით დასჭრა თავისი ხასა—თამარა პოზნიაკოვისა.

◆ **ქურდობა.** 21 აგვისტოს კბილის ექიმი ქალი მარიამ თაუგრიხმა მილიციაში განაცხადა რომ მისი ბინიდან მოუპარავთ ძვირფასი ნივთები 308000 მანეთისა. დააპატიმრეს მოსამსახურე ქალი, რომელიც ქურდობაში გამოტყდა.

◆ **ბოლშევიკური ლიტერატურა.** მუგდუსი აკოფოვის სტამბაში (დიდი ვანქის ქუჩაზე) საგანგებო რაზმმა აღმოაჩინა 5 ფუთი ბოლშევიკური ლიტერატურა, ყველა ადგილობრივ ენებზე. სტამბის პატრონი დააპატიმრეს. სტამბა კი დაბეჭდეს.

◆ **მარცხი.** 22 აგვისტოს ღამის 2 საათზე გაზაევის შესახვევში ნახეს მომაკვდავი ანნა ანდრეევისა, რომელიც იქვე სასტუმრო „ბრიტანიაში“ სცხოვრობდა. მას აივანზე ყოფნის დროს გული შეწუხებია და გადმოვარდნილა.

◆ **სამეურნეო ჟურნალი.** რომელიც მიწად მოქმ. სამინისტოს უნდა გამოეცა ველარ გამოვა ტეხნიკურ პირობების გამო.

◆ **მინისტრის დაბრუნება.** მიწადმოქმედების მინისტრი ბ. ხომერიკი დაბრუნდა თბილისს და სამსახურის საქმეების აღსრულებას შეუდგა.

◆ **აგრონომთა ყრილობა.** მიწადმოქმედ. სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო ნაწილის ინიციატივით ამ შემოდგომაზე იწვევს საქართველოს რესპუბლიკის აგრონომთა და სოფლის მეურნეთა ყრილობას. საორგანიზაციო კომიტეტის კრება კიდეც შესდგა 22 მარიამობისთვეს.

◆ **მემუსიკეთა კავშირის რევიზია.** შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით შესდგა საგანგებო კომისია სარევიზიოთ თბ. ორკესტრებისა და მუზიკანტების კავშირის საქმეებისა. კომისიაში შედიან სამინისტროს ადმინისტრაციის ნაწილის უფროსი ვ. მგალობლიშვილი, სამინისტროს საქმის მწარმოებელი ბ-ნი შაკოვი და ქ. ფოცხვერაშვილი. კომისიის წევრები 21 მარიამობისთვეს იყვნენ კავშირის ბინაზე და წამოიღეს გასაცნობათ კავშირის მთელი საქმეები.

◆ **კომისიის დაბრუნება.** მიწადმოქმედების სამინისტროს მიერ შემდგარი საგანგებო კომისია, რომელიც გამგზავრებული იყო დასავლეთ საქართველოში საცდელ მინდვრების და დაწესებულებების დასათვალიერებლად უკვე დაბრუნდა თბილისში. კომისიაში შედიოდნენ აგრონომები: ვაწაძე, რცხილაძე და ვასილიცკი. კომისიას დაუთვალიერებია საცდელი დაწესებულებანი ოზურგეთის საცდელი პლანტაცია ქუთაისის საცდელი მინდორი, ყულაშის საცდელი მინდორი ქუთაისის სამეურნეო სკოლა აჯამეთის მამული და საქარის სანერგე. ლანჩხუთში დაუთვალიერებიათ ნ. ჟორდანიას სახელობის განმეორებული სამეურნეო სკოლის ის ადგილი, რომელსაც ქალ. ლანჩხუთი უთმობს, ხოლო შენახვას ამ სკოლისას აღუთქვამს თვით სამინისტროს. კომისიამ მოიწონა ეს ადგილი სასკოლოთ და აგრეთვე აჯამეთის მამული, სადაც უნდა გადმოტანილ იქმნას ქუთაისიდან.

◆ 19 აგვისტოს საღამოს 11 საათზე სისხლ. სამ. მილიც. სამართველოში განაცხადა ვოლგო კამის კომერციულ ბანკის რწმუნებულმა, რომ აღნიშნულმა ბანკის კოლარემ ალექსანდრე პუპომ გაფლანგა ბანკის 679500 მ. რომლიდანაც 250 ათასი ეკუთვნის ამერიკის ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტს და დანარჩენი ბანკს და გაიპარა. მილიც. უფროსის თანაშემწემ ჭელიძემ შეიპყრო პუპო, რომელიც გამოტყდა, დანაშაულში. პუპო საგამომძიებლო ნაწილს გადაეცა.

◆ **საქართველოს რესპუბლიკის** სამხედრო სამინისტრომ 18 აგვისტოს შემდეგი აცნობა სისხლის სამ. მილიციის უფროსს ფაჩულიას: „სამხედრო მინისტრის თანაშემწემ მიბრძანა მე მეცნობებინა თქვენთვის, რომ თბილისში მყოფი ინგლისელი ჯარის უფროსის გენ. მონტენ ბეცი დიდი მადლობას გიძღვნის თქვენ გასაკვირველ ენერგიისთვის და სიჩქარისთვის, რომელიც გამოიჩინეთ თქვენ, როგორც თბილისის სისხლ. სამ. მილიციის უფროსმა იმ დამნაშავეთა აღმოჩენის და დაპატიმრების საქმეში, რომელთაც მოჰკლეს ინგლისელი ჯარის კაცი ედუარდ მარტინი. ამასთანავე გაცნობებთ, რომ სამხედრომ მინისტრის თანაშემწე თავის მხრივ მადლობელია თქვენი მოვალეობის სამაგალითოთ შეძლებისთვის“.

◆ **ინგლისელთა ეშელონის ახდილ ვაგონიდან,** რომელიც იდგა თბილისის სადგურზე მოიპარეს სახაზინო ნივთები: ფეხსაცმელი, ტანთსაცმელი და სხვა. ქურდები იქვე დააკავეს: პეტრე ლომოლოდის ძე ვილჩინსკი—14 წლ. და ალექსანდრე ნიკოლოზის ძე სოკოლოვი 26 წლ. ისინი ჩამოვიდნენ ბაქოდან ორი კვირის წინეთ და მთელი ეს დრო გაატარეს სადგურზე ქურდობაში, მოპარული ნივთები მათ მიჰყიდიათ მედუქნე სერაპიანცისთვის, რომელსაც სოფლებზე გაუყიდია. სერაპიანცი დააპატიმრეს 1 თვით და ვილჩინსკი და სოკოლოვი გადაეცა თბილისის რაიონის რკინის გზის მილიციის უფროსს.

◆ **საქონელი სტუდენტთათვის** სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის კოოპერატივმა მომარაგების კომიტეტიდან მიიღო თეთრეული: ზეწრები, საცვლები, პირსახოცები, ცხვირსახოცები და სხვა გამოტანილ საქონლიდან ცოტაღა დარჩა. ამ დღეებში კოოპერატივი გამოიტანს მეორე პარტიას. კოოპერატივი დროებით მოთავსებულია სტუდენტთა სასადილოში.

◆ **სადილის მისაღებათ.** ვინაიდან ბევრი არასტუდენტი სადილობს სტუდენტთა სასადილოში სტუდენტურ ფასებში, რაც ფრიად საზიანოა სასადილოსთვის, სასადილოს გამგეობის დადგენილებით 25 მარიამობისთვიდან სტუდენტურ ფასებში სადილის მიღება შეუძლიანთ მხოლოდ მატრიკულების საშუალებით.

◆ **საქალაქო გადასახადების დაწესება.** ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისაგან შინაგან საქმეთა მინისტრმა შემდეგი ცნობა მიიღო: „პასუხათ თბილისის გამგეობის მოხსენებისა მოწყობილ ოთახებზე და გასტრონომიულ მაღაზიებზე საქალაქო გადასახადის დაწესების შესახებ გაუწყებთ, რომ იმ მოსაზრებათა მიხედვით, რომელსაც აღნიშნავს სახელმწიფო კონტროლი თავის დასკვნაში და იმის გამო, რომ უკვე ქალაქში დაწესებულია სანიტარული გადასახადი, რომელიც საკმარისათ უზრუნველყოფს ქალაქის კასას,—მე წინააღმდეგი ვარ მოხსენებაში აღნიშნულ გადასახადის შემოღებისა.

◆ **დაწესებულების გაუქმება.** შინაგან საქმეთა მინისტრმა წარუდგინა მთავრობას ვრცელი მოხსენება სამინისტროსთან არსებულ და ყოფილ მეფის ნაცვლის სამმართველოდან გადმოცემულ სატეხნიკო თათბირის გაუქმების შესახებ და მის ნაცვლად საგანგებო მინდობილებათა ინჟინრის თანამდებობის დაარსების შესახებ. ამ ინჟინერს დამხმარეთ უნდა მიეცეს ერთი ტეხნიკი.

◆ **კომისარიატების გაუქმება.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ აცნობა სიღნაღის სამაზრო ერობის გამგეობას შემდეგი: სიღნაღის სამაზრო ერობის გამგეობას დაუდგენია გააუქმოს სამაზრო და სარაიონო კომისარიატები, რომლების ნაცვლათ დაუარსებია ერობის გამგეობასთან ადმინისტრატიული განყოფილება და მაზრაში მილიციის უფროსის თანამდებობა. შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის განკარგულებით გატყობინებთ, რომ სამაზრო და სარაიონო კომისარიატები დაარსებულია საკანონმდებლო გზით და მათი გაუქმება შეიძლება მხოლოდ საკანონმდებლო დაწესებულების დადგენილებით. სიღნაღის მაზრის კომისარს ეცნობება რა ეს ყველა დარჩეს, ვიდრე შინაგან საქმეთა მინისტრი კანონმდებლობითი დაწესებულების დადგენილების თანახმათ არ გასცემს განკარგულებას მაზრაში კომისარიატების გაუქმების შესახებ.

სატარიფო პალატაში

◆ **სატარიფო პალატამ** უკვე დაუგზავნა ახალ მომატებული ხელ-ფასის ნუსხა (35 პროც. მომატებით) ყველა კავშირთა გამგეობას და საქარხნო-სამრეწველო კავშირს.

◆ **ხელფასის მომატების საკითხის განხილვა.** სატარიფო პალატა შეუდგა რესპუბლიკას ყველა ქალაქებისა და დაბებში ხელფასის მომატების განხილვას. პირველად განიხილა ქუთაისის მუშათა მოთხოვნილება; პალატამ სპეციალურად შრომის სამინისტროს წარმომადგენელი გაგზავნა ქუთაისში პირველ საჭირო საგნების ფასების მომატების გამოსარკვევად. წარმომადგენელი უკვე დაბრუნდა და სათანადო მოხსენება გაუკეთა სატარიფო პალატას.

◆ **საავადმყოფო კასის ბინა.** შრომის კომისარის მოადგილემ ს. ფანცხავამ სთხოვა ქალაქის თავს, რათა მოახდინოს რეკვიზიცია ქალაქის საერთაშორისო საავადმყოფო კასის ბინისთვის სასტუმრო „ჟენევა“-ში, ვინაიდან ჩამორთმეული ორი ოთახი სასტუმრო „ლონდონ“-ში უვარგისი გამოდგა კასის ბინისათვის.

სამხატვრო ქრონიკა

გვარდიის ორკესტრი რომელიც ბორჯომში სდგას სამეცადინოთ რეპერტუარის შესამუშავებლათ ინტენსიურათ მუშაობს. გაიმართა სამი სახალხო კონცერტი რომელზედაც დაესწრო ურიცხვი მსმენელი. ჯერ-ჯერობით ორკესტრმა დაუკრა 15 ქართული სიმღერა ორკესტრზე გადაღებული 2 ახალი სიუეტა 1 სიმფონიური პოემა) ნაწყვეტები „თამარ ცბიერიდან“ და „კერპთა დამხობიდან“ და სხვა ევროპიული პიესები სახელდობრ რიხარდ ვაგნერი ლისტის შოპენის თხზულებანი. 15 ენკენისთვიდან ორკესტრი იმოგზაურებს რესპუბლიკის დაბა ქალაქებში და გამართავს კონცერტებს.

პროვინციის ცხოვრება

ქ. გორი.

გორში ჩამოვიდა მოძრავი გამოფენა ქართველ მხატვართა სურათებისა, რომელიც მოეწყო საზოგადო საკრებულოს საზამთრო დარბაზში, გამოფენა გაგრძელდება ოთხ დღეს, მარიამობისთვის 20—24.

ზემო-იმერეთი.

ვენახები ძლიერ წამხდარია. იგინი ყვავილობის დროს საშინელმა სიცივეებმა დააზიანა. ჭირნახულის მოსავალს კარგი პირი უჩანდა, მაგრამ ფერისცვალების კვირაში სასტიკმა ქარებმა ძლიერ ავნო.

ს. ნაგარევი (ქუთ. მაზრა)

დაიხურა ნაგარევის კოოპერატივი „დახმარება“. ვენახები ძლიერ დაზიანებულია. ნაგარეველებს მიწები მისცეს აჯამეთში ყოფილ ანანოვის მამულში. მიწები უწესრიგოთაა დარიგებული.

ს. ქალასთავი (ქუთ. მაზრა.)

ქალასთავის გლეხობა უკმაყოფილოა მიწების დამრიგებელი კომისიისგან, რომელმაც არ მისცა მათ საყანე ადგილები ანანოვის მამულში. მათ საჩივარი აღძრეს მთავრობასთან.

ველისციხე.

10 აგვისტოს მოხდა საზოგადო კრება კახელ მევენახეთა კავშირთ კავშირისა. გამგეობის წევრებად აირჩიეს: ქ. ნაკაშიძე, გ. წინამძღვარი და ნ. ზირაშეიშვილი. კრებამ გადასწყვიტა ბილოს საექსპლოატაციოდ ჩუმლაქის ამერიკულ ვაზის სანერგე და დააშენონ სადგურ მუკუზანში ღვინის სარდაფი.

ფილოქსერა. კახელ მევენახეთა კავშირთ-კავშირის გამგეობის წევრებს უნახავთ სოფელ ველისციხეში აგარაკ „ნანაურთაში“ ფილოქსერა რომელიც ძალიან ყოფილა გავრცელებული. ავადმყოფობისა გამო რამდენიმე დესეტინა ვაზი სულ გადამხმარა.

მევენახეთა კონგრესი. რადგანაც საქართველოს სხვა და სხვა რაიონებიდგან ბევრი განცხადებები მივიღეთ რათა კონგრესის მოწვევა გადადებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქმნას შემოდგომისთვის, რთვლის შემდეგ, კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტი ამით აცხადებს, რომ კონგრესის მოწვევა გადადებულია შემოდგომისთვის. როდის და რომელ რიცხვში ამაზედ ცალკე იქნება გამოცხადებული.

სომხეთი

სომეხთა ლტოლვილები

„ნორ აშხატავორის“ მე-171 ნომერში მოთავსებულია შემდეგი წერილი:

„ბაკურიანიდან და ახალქალაქიდან მიღებულ ცნობების თანახმად, ახალქალაქის მაზრის მოსახლეობა სრულიად უნდა გაწყდეს თუ სწრაფი ზომები არ იქნება მიღებული მის დასახმარებლად. სომხეთის მთავრობამ ათი მილიონი მანეთი გადასცა სომეხთა ეროვნულ საბჭოს ახალქალაქის მაზრის დამშეულ მოსახლეობის დასახმარებლად, მაგრამ ამისთვის შემდგმარმა „საგანგებო კომისიამ“ დღემდე არაფერი გააკეთა. დაიხარჯა დიდ ძალი თანხა, ხალხს კი არაფერი მიუღია. მის ფულებით კი არამ ტერ-გრიგორიანი ჯიბეს ივსებდა. და ეს ღვთის ანაბრად დარჩენილი ხალხი უკიდურეს გაჭირვებას განიცდის. ლუკმა-პურის გულისთვის ქალები თავსა ჰყიდიან ახლო თათრის სოფლებში. ვინ არის დამნაშავე? რისთვის იყიდებიან ბავშვები და ქალები როცა მილიონებია მათთვის დახარჯული.

ნახიჩევანისკენ.

ერევნის სომხური გაზეთი „აშხატანქ“ გადმოგვცემს, რომ მარიამობისთვის 15-ში დოქტ. იშირი და ნახიჩევანის ამერიკულ კომიტეტის ყოფილი რწმუნებული ქ. თორგორიანი გაემგზავრნენ ნახიჩევანის ამბების ადგილზე გამოსარკვევად.

იარაღის მოგროვება.

მთავრობამ ხალხს გამოუცხადა, რომ თითეულ თოფს ხაზინა 500 მანეთად შეისყიდის, ვისაც ფული არ უნდა 2 ნახ. ფუთი ფქვილი მიეცემა მარიამობისთვის 8 მდე მრავალი იარაღი მოგროვდა, იარაღის პატრონთ ფულის მაგიერ ბარათები დაურიგდა. გარდა ამისა ქალაქის მცხოვრებლებს გადასახადი გააწერა. კაცმა უნდა გადაიხადოს ერთი თოფის ფასი. ვინც თავის ნებით გადასახადს არ გადაიხდის, დაჯარიმებული იქნება 10,000 მანეთით, ან დაპატიმრებული იქნება 3-4 თვით, ასეთივე სასჯელს მიეცემიან ისინი, რომელთაც იარაღი აღმოაჩნდებათ.

(„ყ. ძ.“).

მობილიზაცია.

მთავრობის უკანასკნელ ბრძანების თანახმად ჯარში გაიწვიეს 19-40 წლამდე.

(„ყ. ძ.“).

სახრჩობელა.

დაშნაკელების მრავალ რიცხოვანმა მიტინგმა მოითხოვა, რომ მთავრობა გადადგეს და დაარსდეს სამხედრო-საველე სასამართლო. მთავრობის გადადგომაზე ჯერ ის მხოლოდ დაადგინეს ქალაქის ცენტრში სახრჩობელა გაკეთდეს. ჯერ-ჯერობით ჩამოხრჩობა მიუსაჯეს 7 კაცს, რომელთაც მოღალატეობაში სდებენ ბრალს.

ბოლშევიზმი სომხეთში.

მარიამობის პირველ რიცხებში ჯარში მცხოვრებლებმა ფურცლები დაარიგა რაშიაც ჯარებს არიგებდნენ საბრძოლველად არ წახვიდეთო. ფურცლებს ქვეშ ხელს აწერდა ჯგუფი „სპარტაკი“. მთავრობამ დააპატიმრა მოწაფეთა და ახალგაზრდების ერთი ჯგუფი.

(„ყ. ძ.“).

აღელვება ბასარქეჩარის ოლქში.

ზეუქ ვედის ამბების შემდეგ ამ ოლქის მაჰმადიანები გადავიდნენ ბასარქეჩარში და ძლიერი პროპაგანდა გასწიეს, რომ ადგილობრივი სომხებს თავს დასხმოდნენ შარურ-დარალიაგიაზის ფრონტი გოქჩის ტბის ნაპირზე მდებარე მაჰმადიანებით და მალაკნებით დასახლებული სოფ. არიჯამდე გაეგრძელებინათ. ასე რომ სომხეთის მაჰმადიანები აზერბაიჯანის მაჰმადიანებს დაუკავშირდნენ.

(„ყ. ძ.“).

სომხეთის ახალი მთავრობის განცხადება.

სომხეთის პარლამენტმა განიხილა ახალი მთავრობის დეკლარაცია, რომელიც წარმოთქმულ იქმნა, ავადმყოფ ა. ხატისოვის მაგიერ, მისი მოადგილის ს. სააკიანის მიერ.

მთავრობის განცხადება

პრემიერის ავადმყოფობის გამო სიტყვას ამბობს სააკიანი:

„ბატონებო, პარლამენტის წევრნო! მთავრობამ დამავალა ჩვენი ქვეყნის მდგომარეობაზე შემდეგი მოგახსენოთ.

ჩვენი საუკუნოებრივი მტერი—ოსმალეთი სულ ახალ-ახალ ფრონტებს გვიქმნის, როგორც ჩვენში, ისე ჩვენ ქვეყნის გარედ. ფრონტს ჰქმნის აგრედვე არზრუმის გზით მომავალი ოსმალეთის ჯარი. იგი ხომ სარიყამიშისაკენ მიემართება.

მეორე ფრონტი—სურმალუს მიდამოებშია; აქ დღემდე შეტაკებებს ადგილობრივი ხასიათი ჰქონდა, მაგრამ დღეს გაფართოვდა და ყარაკალამდე გაიზარდა.

მეორეს მხრით ოსმალთა რეგულიარი ჯარები ქურთების დახმარებით, ზარბაზნებით შეიარაღებულნი არაქსის მიმართულებით მოიწევენ. მეოთხე ფრონტი—ქემარლიუ, სადაც მაინცდამაინც დიდ სამხედრო მოქმედებას ადგილი არა ჰქონია მაგრამ შეტაკებები მაინც მოხდა. მეხუთე ფრონტი ჯერ გამოურკვეველი—დარალაგიაზის ფრონტია.

ჩვენ თანდათან რგოლად გარს გვერტყმიან. მტერს ჩვენს სამშობლოში შემოჭრა სურს, სურს დაგვიმონოს და ჩვენი სისხლით მოპოვებული თავისუფლება ხელში გამოგვტაცოს. ბატონნო პარლამენტის წევრნო! მთავრობა აცხადებს რომ სამშობლო განსაცდელშია. მას გადაწყვეტილი აქვს მობილიზაციის გამოცხადება. მივიღეთ ზომები ჯარის სურსათით უზრუნველსაყოფად. მთავრობა სთვლის რა, რომ არსებული სამხედრო ძალა საკმაო არ არის მოუწოდებს ხალხს რომ გასწირონ ცხოვრება და სიცოცხლეც კი. მთავრობა უცხადებს უმაღლეს კრებას, რომ მას სჭირია ავტორიტეტული პიროვნებანი, რასაც იმედია პარლამენტი მას მისცემს. დაე მათ ხელში იყოს მთელი ხალხის ბედი.

ამ მომენტში ჩვენ მხოლოდ ჩვენი ძალების იმედი უნდა ვიქონიოთ, მხოლოდ მომავალში თუ დაგვეხმარებიან მოკავშირენი. დავსჭიმოთ მთელი ჩვენი ძარღვები მტრის წინააღმდეგ. გაიხსენეთ კარაკლისის ბრძოლები, სარდარაბადი და გაიგებთ რომ ჩვენ დამხმარე ძალების მიუღებლადაც გავრეკთ მტერს სამშობლოდან (ტაში).

ფრაქციების განცხადებანი.

მთავრობის თავმჯდომარის საპასუხოდ ილაპარაკეს დაშნაკცაკანებმა, გლეხების წარმომადგენლებმა და სოც.-რევ. მთავრობის პარტიის წარმომადგენელი, დაშნაკც. ტეროსიანი სავსებით მხარს უჭერს მთავრობის განცხადებას და ითხოვს პარლამენტისაგან და სომხის ერისაგან, რომ მედგარ დამცველად შეიქმნენ თავის მთავრობის.

სოც.-რევ. ხონკარიანი ამბობს, რომ ყველაფერში რაც ეხლა ხდება, ბრალი უდევს დაშნაკცაკანთა პარტიას. ოსმალეთის მოქცევა ბუნებრივია და მთავრობას იგი წინადვე უნდა სცოდნოდა და დროზედ მიეღო ჯეროვანი ზომები ხონკარიანი ბრალს სდებს მოკავშირეთაც, რომელთაც, მისი სიტყვით იცოდნენ ოსმალეთის განზრახვები და მათ ხელი არ შეუშალეთ. ორატორს, ერთად ერთ ხსნათ მიაჩნია დახმარება რუსეთისაგან.

გლეხების წარმომადგენელი მოლკონიანი ითხოვს, რომ დეპუტატებმა დასტოვონ პარლამენტი და გავიდნენ ხალხში.

ჯამალიანის (დაშნ.) წინადადებით პარლამენტმა დაადგინა მიმართოს მთელს ქვეყნიერებას და აცნობოს ყველას სომხეთის დღევანდელი გასაჭირი. ამ მიმართვის ტექსტი უკვე დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

აზერბაიჯანი

ბაქოში მყოფ ბრიტანეთის ჯარების საქმეების ლიკვიდაცია.

სახელმწიფო ბანკების საკითხი.

ბრიტანეთის სარდლობას მოლაპარაკება აქვს აზერბაიჯანის მთავრობასთან, ბაქოს სახელმწიფო ბანკის გადაცემის შესახებ. ამ საკითხის შესახებ უკვე გაიმართა ერთი შეერთებული სხდომა, რომელზედაც განხილულ იქმნა ზოგიერთი დეტალები და ფორმალური მხარენი ბანკის გადაცემის მოსაწესრიგებლად.

რ ა დ ი ო

20 აგვისტოს, აზერბაიჯანის მთავრობის წარმომადგენლებმა დაიწყეს ინგლისელების რადიოს მიღება.

ინგლისელების ჯორები.

აზერბაიჯანის მთავრობამ შეიძინა ინგლისის სარდლობისაგან 1500 ჯორი

საზღვაო კონტროლი.

ამ ჟამად ბაქოში ბრიტანეთის სარდლობას მოლაპარაკება აქვს გამართული აზერბაიჯანის მთავრობასთან, რათა უკანასკნელს გადაეცეს ბრიტანეთის სარდლობის განკარგულებაში მყოფი კასპიის ზღვის კონტროლი.

„ზნამია ტრუდას“ რედაქტორი აზერბაიჯანის მთავრობის თავმჯდომარესთან.

გაზ. „ზნამ. ტრუდ.“ სწერია: 20 აგვისტოს საღამოს 5 საათზედ გაზ. „ზნამია ტრუდას“ რედაქციაში გამოცხადდა ბოქაული და მოითხოვა სარედაქციო კოლლეგიის წევრთა მისამართი. ბოქაულს მისცეს გაზეთის რედაქტორის ქ-ნ სუნდუკიანცის მისამართი; ბოქაული გაემართა მის ბინაზედ და წინადადება მისცა მას, წარმდგარიყო მთავრობის თავმჯდომარის ბ-ნ უსუბეკოვის წინაშე.

ქ-ნი სუნდუკიანცი დაუყონებლივ გაემართა მთავრობის თავმჯდომარესთან მაგრამ რადგან იგი შინ არ იყო, იგი პატიოსან სიტყვის ქვეშ, განთავისუფლებულ იქმნა მეორე დღის დილის 11 საათამდის. დანიშნულ დროს ქ-ნი სუნდუკიანცი გამოცხადდა, მთავრობის თავმჯდომარესთან, რომელმაც ქ-ნი სუნდუკიანცი მეტად თავაზიანათ მიიღო, დიდხანს ესაუბრა მას გაზეთის საერთო მიმართულების შესახებ და საუბარის დასასრულს განუცხადა, რომ მის მაგიერად რომელიმე სხვა სარედაქციო კოლლეგიის წევრი მამაკაცი გამოცხადებულიყო, უსათუოდ დატუსაღებული იქნებოდა, მაგრამ მას, როგორც მანდილოსანს იგი ანთავისუფლებს.

აგრარული რეფორმა რუმინეთში

პარიზიდან ბრიტანეთის შტაბს აუწყებენ, რომ რუმინეთში აგრარული რეფორმის გატარების შემდეგ რუმინელ გლეხებს დაურიგდებათ 6175 ათასი აკრი მიწა. კერძო მესაკუთრე გლეხები ბოლშევიზმის საწინააღმდეგოდ არიან განწყობილნი.

თალაათ-ფაშას გაცემა

პარიზიდან მოსული ცნობებით, გერმანელმა დელეგატებმა კლემანსოს განუცხადეს, რომ გერმანეთის მთავრობა პრინციპიულად თანახმაა მოკავშირეებს გადასცეს თალაათ-ფაშა, ოსმალეთის ყოფილი დიდი ვეზირი.

რაც შეეხება დანარჩენ ახალგაზრდა ოსმალების ლიდერებს, გერმანელებმა განაცხადეს, რომ ისინი გერმანიაში არ არიან.

პოლონელთა დახვრეტა კიევში

კიევის „უწყებებში“ მოთავსებულია დაწვრილებითი ცნობა თუ ბოლშევიკებმა როგორ დახვრიტეს „პოლონელი თეთრ გვარდიელები“.

„პოლონელ თეთრ გვარდიელთა ფარულ ორგანიზაციის მიზანი იყო რომ კიევში ეგროვებინა ლეგიონერები და პოლონეთში ეგზავნა. აგრეთვე გაეწია პროპაგანდა კიევის აკადემიურ წრეებში და სადაც საჭირო იყო გამოეჩინა აქტიურობა „დამამცირებელ ბოლშევიზმის წინაღმდეგ. თეთრ გვარდიელები თავს იყრიდნენ სტუდენტთა სასადილოებში რეიტერის ქუჩაზე და 6 საათიდან 10-მდე მრავლად აგროვებდნენ აუდიტორიას, როგორც პოლონელ ისე უკრაინელ სტუდენტთაგან შემდგარს.

ფარულ კრების დროს კარებთან ყოველთვის ეყენათ მცველი, რომელიც ყოველ 15 წუთში იცვლებოდა.

ამ შენობის გაჩხრეკის დროს ფარულ კრებაზე დაიპატიმრეს საეჭვო პირნი. შეკრებილნი ამბობდნენ ვითომც უბრალოდ ლექციას ვუსმენდითო.

როგორც გამოირკვა ორგანიზაციის თვალსაჩინო მეთაურნი არიან 3 ბერგოვსკი, კორნიცკი, სავიცკი და ბასინსკი“.

„ჩარეზვიჩაიკამ“ ზემო აღნიშნული პირნი 24 საათში დახვრიტა.

საფრანგეთის სოციალისტები და საზავო ხელშეკრულება

„Le Temps“-ის მკათათვის 16 ის ნომერში დაბეჭდილია სოციალისტური კონგრესის ოქმები. ეს კონგრესი მოხდა საგანგებოდ საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხის გადასაწყვეტად.

კონგრესმა თავისი მუშაობა დაასრულა მკათათვის 15-ს. კამათი გაიხსნა ლონგეს სიტყვით. ლონგე აღნიშნავდა, რომ თუმც საზავო ხელშეკრულებაში არის ისეთი მუხლები რომლებიც უთუოდ მისალმების ღირსია, მაგრამ არის ისეთიც, რომელზედაც ხელის მოწერა არამც თუ სოციალისტს, დემოკრატსაც არ შეუძლია; და ასეთი მუხლები, ასეთი პირობები გაცილებით მეტია, ვიდრე მოსაწონი პირობები.

გრუმბახი (ზემო ელზასის წარმომადგენელი) აცხადებს, რომ ხელშეკრულება ვილსონის 14 მუხლის წინააღმდეგია და ამისათვის მიუღებელია.

ხელშეკრულება არ იძლევა აგრედვე ზავის არავითარ გარანტიასაც. მუშათა კლასი ელზასისა სთხოვს სოციალისტურ პარტიას რომ რატიფიკაცია ხელშეკრულებისა არ მოახდინოს.

დეპ. ბედუხი ხელშეკრულების ეკონომიურსა და ფინანსიურ პირობებს აკრიტიკებს. მას სიტყვას აწყვეტინებენ ლონგეს მომხრენი, მაგრამ იგი მაინც მოითხოვს, რომ ხელშეკრულების რატიფიკაციის დროს სოციალისტურ პარტიის დეპუტატებმა პარლამენტში კენჭის ყრის დროს თავი შეიკავონ ამისავე მომხრეა ხემბაც. მისი აზრით მხოლოდ ხალხთა ლიგას შეუძლია კაცობრიობის ომის უბედურებიდან დახსნა. ევროპა, როგორც ამ შეკრულებას დაეყრდნობა „სამხედრო ევროპა“ იქნება თავისებური პადრაკის ფიცარი კანცელარიაში დამზადებული, რომლის საზღვრები პირველ ძალის გამოჩენისთანავე შეილახება. სემბა აცხადებს, რომ გერმანიის გეგემონიისათვის ბრძოლის ალორძინების სურვილი ისევ მოკავშირეთაგან შეთხზული ქორიაა (პროტესტები) და აღნიშნავს ერთიან სოციალისტურ ფრონტის აუცილებლობას. ამ ერთიანობას კი მივაღწევთ მაშინ თუ მივიღებთ რომ სოციალისტებმა პარლამენტში კენჭის ყრის დროს თავი შეიკავონ.

ამავე აზრს იზიარებდა რენოდელი, რომელმაც თავისი სიტყვა გერმანელ სოციალისტ - მეუმრავლესეთა კრიტიკას მოანდომა.

პოლფერი, (ახალი უმრავლესობის ლიდერი) **ლონგე, მარსელი, კაშენი** და სხვანი რატიფიკაციის წინააღმდეგნი არიან.

რატიფიკაციის მომხრეა **ინგელოხი,** გერმანელებთან ტყვედ ნამყოფი.

ალბერტ ტომა აცხადებს: „იქნებ არის რამოდენიმე რიცხვი მაინც პარტიის წევრთა რომელნიც რატიფიკაციას მხარს დაუჭერენ. მე სემბას არ ვეთანხმები ახლად დაარსებულ სახელმწიფოთა შეფასებაში. მე მგონია, რომ ეს უკანასკნელი ზავის საქმეს მხოლოდ ხელს შეუწყობენ. ვფიქრობ აგრედვე, რომ კარგი იქნებოდა წარვედგინა დეკლარაცია, რომელიც აღნიშნავდა ხელშეკრულების კარგსა და ცუდ მხარეებს. სინდისს ქვეშ რომ ვსთქვა სოციალიზმის ინტერესები სწორედ რატიფიკაციას მოითხოვენ. მე ეს ხელშეკრულება დიდი ყურადღებით მაქვს გადაკითხული და ამისათვისაა, რომ ასე ვლაპარაკობ.

როდესაც თავმჯდომარემ კენჭი უყარაა გამოირკვა, რომ რატიფიკაციას მხარი დაუჭირა 54 კაცმა, ხოლო წინააღმდეგ მისცა ხმა 1,420—კაცმა. თავი შეიკავა 114—კაცმა.387 დელეგატმა განაცხადა, რომ ისინი მომხრენი არიან პარლამენტში საკითხის გარჩევის დროს თავის შეკავებისა.

შემდეგ მიიღეს რენოდელის მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია, რომელიც ხალხთა ლიგას იმ სახით, როგორც ახლა არის შექმნილი იწუნებდა და აძლევდა სოციალისტებს მანდატს ხელშეკრულების წინააღმდეგ ხმის მიცემისას.

რუმინეთის პირობები ჰუნგრეთისადმი წარდგენილი

(ინგ. მის. ცნობა)

ლონდონიდან იუწყებიან, რომ საზავო კონფერენცია რუმინელების მიერ ჰუნგრეთისათვის წარდგენილ საზავო პირობებს გაეცნო. ამ პირობებით ჰუნგრეთმა დაუყოვნებლივ უნდა გადასცეს რუმინეთს მთელი სამხედრო მასალა. გარდა იმისა რაც პოლიციის შესანახად დასჭირდება, უნდა გადასცეს მიწათმოქმედების მანქანების რიცხვის 30 პროც და დიდძალი პური და სურსათი; უნდა შესდგეს მუშაობა ყველა სამხედრო ქარხნებში; უნდა დაუბრუნდეს ჰუნგრეთში დაჭერილი ორთქლმავლები და ვაგონები, აგრეთვე 50 პროც. ჰუნგრეთის მატარებელთა და სარკინიგზო მასალის. უნდა გადაეცეს რუმინეთს ჰუნგრეთის მდინარეთა ყველა ნავები.

საფრანგეთის, ბრიტანეთის და ამერიკის ჯარები მრავლადაა ბუდაპეშტში მაგრამ ისინი არავითარ კავშირს არ იჭერენ რუმინელებთან.

დიდ მოგებისათვის

ლონდონიდან იუწყებიან, რომ ბრიტანეთის მთავრობამ თემთა პალატაში შეიტანა კანონ-პროექტი, რომ ადგილობრივ სასამართლოებს უფლება მისცემოდათ განესაჩივრებინათ ის პირნი რომელნიც ვაჭრობაში მეტის მეტ მოგებას იძენენ. კანონ-პროექტი ასეთი ხალხის საწინააღმდეგოდ მკაცრ ზომების მიღებას გულისხმობს.

პოლკ. ჰასკელი

„ჟურნალ დ'ორიანი“ შემდეგ ცნობას იძლევა ჰასკელზე: პოლკ. უილიამ ჰასკელი დაბადებულა 1878 წ., იგი ამ ჟამად 41 წლისაა. მონაწილეობა მიუღია და დაჯილდოვებულა მექსიკისა, კუბის და ფილიპის კუნძულის ომებში. უკანასკნელად ის ასრულებდა რუმინეთში სასურსათო ამერიკულ კომისიის თავმჯდომარის თანამდებობას.

ოსმალთა ეროვნულ მოძრაობის მეთაურნი

ოსმალთა ეროვნულ მოძრაობის სათავეში ეხლა სდგანან ორი გამოჩენილი წევრი „უნიონ და პროგრესისა,“ მუსტაფა ქემალ ფაშა და რაუფ ბეი.

კონსტანტინოპოლის გაზეთი „ლ, ენტათე“ მათ შესახებ შემდეგს იუწყება: „მუსტაფა ქემილ ფაშა სამსუნში ჩავიდა როგორც მესამე კორპუსის ინსპექტორი. აქ მან მრავალი თვითნებობა გასწია, რისთვისაც მთავრობამ ის კონსტანტინოპოლში გაიწვია. მან წასვლაზე უარი შეუთვალა. ამაზე ოსმალეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა განკარგულება გასცა მუსტაფა ქემალბეის გადაყენების შესახებ, მაგრამ გენერალი მაინც არ დამორჩილდა და კორპუსის უფროსობას განაგრძობდა. რამდენიმე ხნის შემდეგ თვით ითხოვა ქემილ-ბეიმ სამსახურიდან დათხოვა; დათხოვის შემდეგ ისევ ისეთივე გატაცებით მუშაობდა, ერთგულად, როგორც წინად.

რამდენიმე ხნის შემდეგ მან მოწერილობანი დაუგზავნა სხვადასხვა ვილაეთებს და 23 მკათათვეს ერზერუმში მოიწვია ვილაეთთა წარმომადგენლების კონგრესი. ეს აქტი მთავრობამ ჩასთვალა აჯანყებად.

მეორე მხრით გამოირკვა, რომ ისინი ქრისტიანებსა და მაჰმადიანებს შორის შუღლსა სთესდნენ. ამისთვის მთავრობამ განკარგულება გასცა, რომ რაუფ-ბეი და მუსტაფა ქემილ-ფაშა დააპატიმრონ.

დეპეშები

(საქ. დეპეშ. სააგენტო)

მარიამობისთვის 23.

ინგლისური პრესა.

დენიკინის გამარჯვება

კიევიდან 100 მილის ნაწილზე სამხრეთ აღმოსავლეთით დენიკინმა აიღო რკინის გზის მნიშვნელოვანი კვანძი მდ. დნეპრზე, ქ. ჩერკასი და ამნაირად, ოდესის მხრით მოსჭრა ბოლშევიკების ხელში მყოფი რუსეთიდან მომავალი რკინის გზა. ეს მნიშვნელოვანი პუნქტი საბოლოოდ დაჰკარგეს ბოლშევიკებმა და, თუმცა ჯერ არ მოსულა დადასტურებული ცნობა ოდესის დაცემის შესახებ, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ ბოლშევიკები შავ ზღვაზე უკანასკნელ დასაყრდნობ პუნქტს დაჰკარგავენ და, იქნება დაჰკარგეს კიდეც.

პეტროგრადზე შეტევა

ინგლისის გემების დახმარებით პეტროგრადის წინააღმდეგ ეხლა დაწყებული შეტევა ბევრად ძლიერია ვიდრე ოდესმე. ფინეთის ყურეში ინგლისის ნაღმოსნებმა ჩაძირეს ბოლშევიკების კრეისერი „პეტრე-პავლოვსკი“ სამხედრო გემი „ანდრეი პირველ წოდებული“ და გაანადგურეს კრონშტადტის წყალ ქვეშათა ბაზა, თვითონ კი მნიშვნელოვან დაზარალდნენ. საინტერესო ის არის, რომ თითეულ ამ ნაღმოსანზე 4-5 კაცია. ეს გემები ბოლშევიკების საზღვაო ძალთა გამანადგურებელია.

სამხრეთ რუსეთში

ახლო მომავალში სამხრეთ რუსეთში დიდი ამბებია მოსალოდნელი. ამ ამბებს უდიდესი გავლენა ექნება ყველა სამხედრო ოპერაციებზე და ალბათ მას მოჰყვება რუსეთში ბოლშევიკების განადგურება.

პოლონელები ბოლშევიკების წინააღმდეგ

მინსკისა და კოვნოს რაიონში პოლონელები შეტევას აწარმოებენ ბოლშევიკების წინააღმდეგ, რასაც ადასტურებს ბუქარესტის მცოდნე წრეებიდან მიღებული ცნობები, რომ ბოლშევიკების წინააღმდეგ გადამწყვეტი მოქმედება დაიწყო.

ამერიკის დელეგატი ბრძოლის ველზე.

პოლკმა (—) უკვე დაათვალიერა ბრძოლის ველები და უკან დაბრუნდა. მასზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმ მუყაითობამ, რომლითაც აოხრებულ ოლქების მცხოვრებნი თავის დანგრეულ სახლებში ბრუნდებიან ესენი ღამღამობით საჩქაროთ აგებულ ქოხებს აფარებენ თავს, დღისით კი თავის სახლების აღსადგენათ მუშაობენ. პოლკმა მოიარა სუასონი, არრასი და სხვა ქალაქები.

ჰუნგრეთის ჯავრს იყრიან

სლოვაკთა ბრძოლის ჰუნგრეთისაკენ წინსვლა ამართლებს იმის შიშს, რომ შესაძლებელია პატარა ერებმა ჰუნგრეთის მაგალითს მიმართონ, და ბოლინდომონ ზარალის პირადიარ ანაზღაურება. აღნიშნავენ, რომ ერცჰერცოგის რეჟენტად აღიარებას, შესაძლებელია, მოჰყვეს მონარქიულ წესწყობილების აღდგენა სხვა ქვეყნებშიაც. თუ იოსები აღიარეს, რატომ არ უნდა აღიარონ ავსტრიის მეფე კარლოსი?

ჰაეროპლანი „გოლიათი“

უზარმაზარ ჰაეროპლანის „გოლიათის“ შესახებ არავითარი ცნობები არ მოსულა. „გოლიათი“ დეკარში გაემგზავრა, მის შესახებ უკანასკნელი ცნობა აგვ. 15 მოვიდა, როდესაც დილას 10 საათზე და 30 წუთზე ეგიპტის ნავთსადგურზე გადაიარა ზან. ეს შიში იწვევს ავიატორებში, რადგან გასაკვირველია, რომ ასეთი დიდი ჰაეროპლანი, რომელსაც დიდი რადიო-სადგური აქვს თან და სხვა ჰაეროპლანებთან მუდმივი კავშირი ჰქონდა გზა და გზა, ეხლა ცნობებს აღარ იძლევა. საზღვაო სამმართველომ დეკარში რამდენიმე ცეპელინი გაგზავნა „გოლიათის“ მოსაძებნათ.

შეერთებული შტატები და ინგლისი.

ამბობენ, ინგლისის მოწონებით, მოხდა, სინატორების გადაწყვეტილება, რომ შეერთებულ შტატებს და ინგლისს თანაბარი რიცხვის წარმომადგენლები ჰყავდეს ხალხთა ლიგაში.

ფრანგული პრესა

მეფე კარლოსის უარი.

ბუქარესტიდან დეპეშით იუწყებიან, რომ მეფე ფერდინანდის შვილმა კარლოსმა ისევ განაცხადა უარი ტახტის მემკვიდრეობის უფლებებზე, რაც მამას შეატყობინა წერილით, რომელიც რუმინიის პოლიტიკურ პარტიების ლიდერებს უჩვენეს.

ავსტრიასთან მიმოსვლა.

ორშაბათს საღამოთი პარიზიდან აღმოსავლეთისაკენ სწრაფი მატარებელი არ გასულა. როგორც ხმები, ეს იმით აიხსნება, რომ ავსტრია ვერ დაჰპირდა, რომ თავის ტერიტორიაზე ქვანახშირს მიაწვდის მატარებლებს. არ იციან როდის გავა მატარებელი.

ფინეთის ახალი კაბინეტი.

ჰელსინგფორსიდან იუწყებიან, რომ ფინეთის პრემიერმა ახალი კაბინეტი შეადგინა აგრარიების და პროგრესისტებისაგან. ამ ნაირად ახალი მთავრობის შემადგენლობა რადიკალურ ნაციონალისტურია.

ინგლისური პრესა

რუმინელთა მზადება

რუმინელები ენერგიულად იმზადებიან მდ. დნესტრზე შეტევის დასაწყებად, რათა დენიკინს შეუერთდნენ რომლის მოწინავე რაზმები რუმინელთა მოწინავე რაზმიდან 50 კილომეტრითაა დაშორებული. ტრანსილვანიიდან დიდი დამხმარე ჯარი მოვიდა. შინდერში, ამავე დროს კი პეტლიურას ახალი წარმომადგენელი მაციესკი ცდილობდა რუმინიასთან შეთანხმებულიყო ბოლშევიკების წინააღმდეგ საერთო მოქმედების შესახებ.

ბულგარეთის ნოტების განხილვა

საზავო კონფერენციამ განიხილა ბულგარეთის ორი ნოტა.

საზავო კონფერენციის კომისიები.

საზავო კონფერენციის კომისიები მალე დაასრულებენ ავსტრიის კონტრწინადადებათა პასუხის შედგენას. ეხლა კომისიების საერთო კომიტეტი იმუშავებს კომისიათა დასკვნებსაც რომელიც უმაღლეს საბჭოს გადაეცემა. მოსალოდნელია, რომ მომავალ კვირის დასაწყისში ავსტრიის დელეგაციას გადასცემენ პასუხს რომელიც მან რამდენიმე დღეში უნდა სცნოს. სამშაბათს ნაშუადღევის შემდეგ პიშონის თავმჯდომარეობით უმაღლესი საბჭოს სხდომა მოხდა. მოხდა აგრეთვე ბალტიის მხარის კომისიის სხდომა.

ბრძოლა სილეზიაში.

ლიონი. აგვ. 20. ვარშავიდან ხუვერი იუწყება, რომ სილეზიაში პოლონელებსა და გერმანელებს შუა და სპარტაკელებსა და გერმანელებს შუა ბრძოლაა.

ეროვნული

უცხოეთში

ჟურნალ-გაზეთებიდან.

(მოკავშირეთა რადიო).

მარიამობისთვის 20.

ბუდაპეშტში

ლონდონიდან იუწყებიან რომ ჰუნგრეთის საგარეო პოლიტიკა როგორც ირკვევა მოკავშირეთა ორიენტაციისა არის. იგი სავსებით ეთანხმება საზავო ხელშეკრულებას და მოკავშირეთათვისაც სრულიად მისაღებია. საბოლოო შეთანხმება სულ ახლო მომავალში მოსალოდნელი.

ფრაკიის საკითხი.

პარიზიდან იუწყებიან რომ კონფერენციის წრეებში არსებობს ისეთი აზრიც, რომ ფრაკიის საკითხი ოსმალეთის საკითხს დაუკავშირდეს. ჰფიქრობენ, რომ ფრაკიას კონსტანტინოპოლის ოლქის ფარგლებში შეიტანენ. ასე რომ ბულგარეთის სამხრეთი საზღვარი ჯერჯერობით გამოურკვეველია.

საფრანგეთის ალორძინება.

ლონდონიდან იუწყებიან რომ მდ. სომას ხეობაში ნ ათასი კილომეტრი გზის განსაახლებლად ნავარაუდევია 100 მილიონი ერთ კვირაში—მუშაობა ჩრდილო ამერიკიდან ჩამოტანილ მანქანებით იწარმოებს.

ზემო სილეზიაში

ლონდონიდან მოსული ცნობით ზემო სილეზიაში დიდი მოძრაობა დაიწყო მოძრაობა გამოწვეულია გერმანელ და პოლონელთა ეროვნულ შუღლის ნიადაგზე.

ფრანგები აღმოსავლეთში.

ლონდონიდან იუწყებიან, რომ სმირნაში დაარსებულია: „სოციეტე ფრანცეზ დეუ ლე ვან“ რომელსაც კრეზოს სახელგანთქმულ ქარხნების პატრონი შრადერი მეთაურობს. საზოგადოების მიზანია რომ აღმოსავლეთის ვაჭრობა მრეწველობას და მიწადმოქმედებას ხელი შეუწყოს. აგრეთვე მოაწყოს საფრანგეთში ექსპორტი და იმპორტი.

ჩინეთის მისია.

კონსტანტინოპოლიდან იუწყებიან რომ იქ ჩაუვლია ჩინეთის მისიას გენ ვანის მეთაურობით, რომელიც პარიზში მიემგზავრება სამხედრო მეცნიერების შესასწავლად.

ინგლისელები და რუსეთი.

ლონდონიდან მოსულ ცნობით ბრიტანეთის მთავრობას გადაუწყვეტია, ჩრდილო რუსეთში ბრიტანეთის ჯარის ევაკუაციისათვის თვალყურის სადევნებლად გენ. როლლისონი გაჰგზავნოს. მურმანში და არხანგელსკში გაიგზავნა აგრეთვე რამდენიმე სამხედრო გემი ჯარის დაბრუნების გასაადვილებლად. გენერლები აირონსაიდი და მენარდი, რომლებიც ბრიტანეთის ჯარებს სარდლობდნენ ბოლშევიკების წინააღმდეგ ბანის ორდენით დააჯილდოვეს.

მუსტაფა ქემალ-ფაშა და რეუფ-ბეის დაპატიმრება.

გაზ. „ორიან ნევს“ ის სიტყვით ოსმალეთის მთავრობამ ბრძანება გამოსცა, რათა დაეპატიმრებინა რეუფ-ბეი და მუსტაფა ქემილ-ფაშა, რომელნიც ხალხს აჯანყებდნენ არზრუმსა და ბრუსაში.

ატამანი გრიგორიევი

(მოგონებანი).

უკრაინის ატამანებს შორის ატამანი გრიგორიევი იშვიათი პიროვნება იყო. მოუსვენარი, უშიშარი, მამაცი და პატრიოტი.

გვინახავს ატამანი გრიგორიევი, როცა ის პანი გეტმანის ჯარს წინ მიუძღოდა, მაგრამ სულ მალე ატამანი გრიგორიევი პეტლიურასთან მივიდა.

დეკემბრის დღეებში გრიგორიევი უკრაინის დირექტორიისთვის საუკეთესო სარდალი იყო. თებერვლის დღეებში, როდესაც სოციალ დაპირებებით აღძრულმა უკრაინის მასსამ დამოუკიდებელ უკრაინას შიგნიდან რღვევა-ნგრევა დაუწყო, გარედან უკრაინას მოსკოვის მშიერი წითელი არმია მოადგა. ატამან გრიგორიევის მდგომარეობა ტრაღიკული შეიქმნა. შინაურ და გარეშე მტრებთან საბრძოლველად უკრაინას ძალა აღარ შესწევდა, გრიგორიევმა იმ ჟამად ლენინის პოლკებთან ბრძოლა უმიზნოდ ჩასთვალა და თვით „გაბოლშევიკდა“. უკრაინაში ყველა გაოცებული იყო გრიგორიევის „ღალატით“. საბჭოთა მთავრობამ გრიგორიევს უსაზღვრო ნდობა გამოუცხადა, ტროცკის წინაშე გრიგორიევმა თავი ისახელა ქ. ქერსონესის აღებით. საბჭოთა სამსახურში ყოფნის დროს ატამან გრიგორიევს ერთი რამე შეამჩნიეს—სახელდობრ ის, რომ გრიგორიევი ერიდებოდა პეტლიურას ჯართან შებმას, გრიგორიევი ებრძოდა უცხოელებს: ბერძნებს, ფრანგებს და პოლონელებს, რომლებიც დიდი მარცხით გააძევა ქ. ქერსონიდან.

თებერვლის დღეებში, როცა საბჭოთა ჯარს ხარკოვი უკვე აღებული ჰქონდა, ოდესის რაიონში ატამანი გრიგორიევი ერთ კავკასიელს ასეთ ბრძანებას აძლევდა: „თქვენ გიყვართ თქვენი დამოუკიდებლობა, და მწამს, რომ ყველა მტერს მოსპობთ, ასევე ჩვენთვის ძვირფასია უკრაინის თავისთავადობა, ხელი შეგვიწყეთ, აი ზარბაზნები და ესროლეთ, მოღალატე ლენინის მოციქულს. გრიგორიევი ქართველების დიდი პატივის მცემელი იყო, მას ბევრჯერ უთქვამს, რომ ასი ქართველი, და ასი გალიციელი, რომ მყავდეს ომს არ შევსწყვეტო. მაისში ატამანი გრიგორიევი აუჯანყდა საბჭოთა მთავრობას და მას შემდგომ ებრძოდა ამ უკანასკნელს. გრიგორიევის ახლო ნაცობნი გრიგორიევს უკრაინელ სააკაძეს უწოდებენ.

საყურადღებოა კავკასიაში უკრაინის მისიის თავმჯდომარის დ-რ კრასკოვსკის სიტყვები, რომელმაც გრიგორიევის გაბოლშევიკების შესახებ სთქვა: გრიგორიევი დირექტორიას ჯაჰვით ჰყავდა დაბმული, რადგან იგი უკიდურესი პატრიოტი იყო და თავის მოქმედებით მეტად შორს მიდიოდა, რის გამოც მისი გაბოლშევიკება საეჭვო არისო. ატამანი გრიგორიევი უთუოდ გულწრფელი პატრიოტი კაცი იყო, რომელმაც სამშობლოსთვის ბრძოლისთვის გზა და გზა ზემოთ მოყვანილ საშუალებებს წაავლო ხელი. ატამან გრიგორიევის დაღუპვა, თუ ჩვენამდე მოსული ცნობა მართალი გამოდგა უსაზღვრო დანაკლისი იქნება დამოუკიდებელ უკრაინისთვის, რომელსაც ჯერ კიდევ ვინ უწყის რამდენ ხანს დასჭირდება რჩეულ ატამანების ხელით დამოუკიდებლობის ძიება!..

დიდიმე

დენიკინის აგენტები

საქართველოს გული აჰრელდა დენიკინის კიცებით.

რკინის გზებზე, სადგურებზე, ქალაქის ქუჩებში, ბაღებსა და დაწესებულებების წინ თავისუფლად გვზვერავენ დენიკინის მოციქულები.

ჩვენი მთავრობის ყოველი წვრილნი მათთვის ცნობილია, და რა გასაკვირია, რომ ეს ასე ხდება, ვინაიდან ჩვენი სამინისტროების ყოველი საიდუმლო უპირველესად იცის ქუჩამ!

დენიკინის თანამშრომლებს საქართველოს ტერიტორიაზე თქვენ შეხვდებით, როგორც სამხედრო, ისე ცივილის ფორმით, ზოგჯერ ისინი უფლება მოსილ მისიებსაც ეფარებიან.

ამ დღეებში სადგ. წიფაზე იდგა ჩვენი ჯარის პატარა ეშელონი, დილის 5 საათზე, ჯართან მივიდა ოფიცერი და დაუწყო დამტვრეული ქართულით საუბარი: „დენიკინს ყველაფერი ბევრი აქვს, იარაღი, ფული და ტანისამოსი, თქვენებრ ფეხშიშველა არ დადიან დენიკინის სალდათებიო“. და ვინ იცის, კიდევ რამდენ მარგალიტს უძღვნიდა ჩვენ ჯარის-კაცს დენიკინის პროპაგანდისტი, რომ მოულოდნელად ჯარში არ მისულიყვნენ ოფიცრები. უცნობს დაეტყო აღელვება და შიში. კაპ. ბარათაშვილი ანიშნებს, რომ დენიკინელი დატუსაღებულ იქმნას, ამ დროს ის ეფარება უცხო მისიას, ჯიბიდან სხვა და სხვანაირ დოკუმენტებს იღებს და უცხო მისიას ჩქარი მატარებლით ბათუმისკენ მიჰყვება.

უკანასკნელ დროს არა ჩვეულებრივად გახშირდა ამნაირ პირთა თარეში!..

მეტი სიმკაცრე სამშობლოს უბეში მოწანწალე ჯაშუშებს!

ირაკლი.

სამეგრელოს სკოლები

სამეგრელოში სოფლის სკოლის ცოტა არ არის, მაგრამ, მცირე გამონაკლისს გარდა, ისინი კარგ შთაბეჭდილებას ვერ სტოვებენ...

რადგან სკოლის მეთაურებს მომზადება აკლიათ.

კრებას გადაწყვეტილი აქვს, მომავალ ენკენისთვეს გახსნას ახალსენაკში საოსტატო სემინარია ოთხი წლის კურსით ვრცელი პროგრამით. როგორც ვიცით, ეს ერობა მეტ ყურადღებას აღზრდის საქმეს აქცევს, მაგრამ მისი უკანასკნელი ნაბიჯი განსხვავებულია მით, რომ მან საქმეს ილლო აუღო.

მაგრამ; რომ დაწყებულმა საქმემ სასურველი ნაყოფი გამოიღოს, ერობამ თავიდანვე უნდა ჩაუდგას განზრახულ სასწავლებელს გმირული სული და მომავალშიაც ამ საგანმანათლებელო საქმეს ერთგულ დარაჯად უნდა დაუდგეს... მან, ოთარაანთ ქვრივისებურად, ერთ ერთი ქისა უნდა მიუჩინოს ამ საქმეს, იმავე სახელწოდებით: მიეცი და მოგცემს“.

კირილე წუთისოფელი.

ფრანგულ

ლიტერატურის მოყვარულთა, მევენახეთა, ღვინის მკეთებელთა და მებაღეთა საყურადღებოდ.

ვ. ი. ტებომ შექმნა რუსეთში რაციონალური წარმოება შამპანიურისა, თავისი 40 წლ. პრაქტიკული მოღვაწეობით; გააუმჯობესა ყირიმში და კავკასიაში მეღვინეობა. დააარსა ფირმები „პრინცი ოლდენბურგისა“, „კლოჟგურული“, „კორონატინული შამპანიური“ თავად გოლიცინისა, „აბრაუ დიურსო“ საუფლისწულო უწყებისა, „მ. ა. ანანოვისა“ და „გრაფი ი. ი. ვორონცოვ დაშკოვისა“. მან დარგო თავის მამულში „კლო-ჟგურული“ 800 მეტი საუკეთესო ჯიშის ვაზი, რომელიც გამოწერილია მთელი ქვეყნიდან და დამყნილია საუკეთესო ამერიკის 20 ლერწზე. იმავე მამულში დარგულია 150 ჯიშის ამერიკული ლერწი და 300 გიბრიდი პირდაპირ მწარმოებელი, რომლებიც მოწონებულია გამოჩენილი პროფესორებისგან, ევროპის სპეციალისტებისგან.

30 წ. განმავლობაში ის ახდენდა ცდას მევენახეობის, ღვინის დამუშავების და წამლობის ღირს შესანიშნავ ნიადაგზე დაყენებისთვის. იმას კიდევ აქვს ღვინის ნიმუში 1907-16 წ.წ.

ამისთვის ის იძულებული იყო შეეძინა დიდი სპეციალური ბიბლიოთეკა. ეთანამშრომლა ბევრ ჟურნალებში და პერიოდიულ გამოცემებში რუსულ და ფრანგულ ენებზე დაწყებული დიდი ამპელოგრაფიიდან ბროშურა. ვიოლადან ვიდრე „ქუთაისის ფურცლამდის“.

ევროპის და კავკასიის მრავალ სხდომების შრომაში, რომლის წევრიცაა ვ. ტებო, დაბეჭდილია მისი მოხსენებანი.

ბევრმა კონფერენციებმა, გამოფენებმა ევროპისამ და რუსეთისამ დააჯილდოვა ვ. ი. ტებო 45 მედლებით და უმაღლესი საჩუქრებით.

ეხლა, პოლიტიკური გადატრიალებების გამო, რომელსაც არ მისდევდა ვ. ი., და მხოლოდ ღვინის წარმოების ტეხნიკას მისდევდა და აუმჯობესებდა, არ აქცევდა ყურადღებას ფინანსიურ მხარეს თავის ბედნიერებისთვის, რისთვისაც ვერ მიიღო შესაფერი [illegible]ლისწული მამულიდან. ვერ მიიღო დაკმაყოფილება ორ ზემოდ დასახელებული ფირმიდან და „გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის“ მამულის მყიდველიდან.

ის ეხლა განიცდის ძრიელ გაჭირვებას, არ აქვს საშუალება, რომ წავიდეს საზღვარ გარედ, სადაც ნათესავები დაეხმარებიან.

იმან მიმართა საქართველოს რესპუბლიკის მიწად მოქმედების მინისტრს, რათა მას უკანასკნელს აღმოეჩინა დახმარება მევენახეობის და მეღვინეობის შესახებ მთელი შრომის დამთავრებაში და ქართულ ენაზე გამოცემაში, მაგრამ პასუხი ჯერ ვერ მიიღო.

ვინაიდან ის განიცდის დიდ გაჭირებას, ამიტომ ყიდის თავის ბიბლიოთეკას, რომელიც შესდგება მევენახეობის, მეღვინეობის, მებაღეობის ლიტერატურიდან და სხვა, ცენტრალურ წიგნის მაღაზიაში, სადაც მის კეთილ მსურველებს შეუძლიან შეიძინონ წიგნები და ამით აღმოუჩინონ ნივთიერი დახმარება ადამიანს, რომელიც მუდამ შრომობდა და ეხლა გაჭირებას განიცდის.

მიმოსვლა

სახალხო მატარებლებისა

ს. ს. რკ. გზ

გადის თბილისიდან.

ფოთში	№ 21	ღამ.	12 ს.	5 წ.
ქუთაისში	№ 10 9	სალ.	8 ს.	7 წ.
ბათომში	№ 5	სალ.	5 ს.	4 წ.
ფოთში	№ 3	დილ.	9 ს.	56 წ.
ბათომში	№ 1	ღამ.	11 ს.	30 წ.

მოდის თბილისში

ბათომიდან	№ 2	დილ.	7 ს.	—
ფოთიდან	№ 4	სალ	8 ს.	45 წ.
ბათუმიდან	№ 6	შუად.	12 ს.	10 წ.
ქუთაისიდან	№ 11,12	დილ.	9 ს.	30 წ.
ფოთიდან	№ 22	დილ.	6 ს.	06 წ.

თბილისი-სალოღლი

გადის სალოღლში

№ 8	საღამოს	6 ს.	5 წ.
№ 6	შუადღის	2 ს.	32 წ.
№ 4	საღამოს	9 ს.	50 წ.

მოდის სალოღლიდან.

№ 3	დილის	7 ს.	27 წ.
№ 5	ნაშუად.	3 ს.	5 წ.
№ 7	დილის	11 ს.	52 წ.

თბილისი-ქსანი გორი-ბორჯომი.

გ ა დ ი ს

№ 63	შუადღის	2 ს.	40 წ.
№ 61	დილის	7 ს.	52 წ.
№ 19,20	შუად.	3 ს.	26 წ.

მ ო დ ი ს:

№ 19,20	დილ.	6 ს.	30 წ.
№ 62	დილ.	11 ს.	24 წ.
№ 64	სალ.	8 ს.	4 წ.

თბილისი-სანაინი

გ ა დ ი ს:

№ 4,3 ს. შუად, 1 ს. 40 წ.

მ ო დ ი ს:

№ 4,3 ს. დილ. 11 ს. 30 წ.

შენიშვნა 1. მ. მ. №№ 21 და 22 დანიშნულება არის სამგზავრო სისწრაფის გადასაზიდები და მალე წასახდენი საქონელის.

შენიშვნა 2. მ. მ. №№ 61, 62, 63, 64 იმოძრავებენ თბილისისა, ქსნისა და გორის შუა: 1 წყვილი ივლის უქმე და კვირა დღეებში, 2 წყვილი უქმე და უქმის წინადღეებში.

საექიმო კაბინეთი

ექ. პ. ტყეშელაშვილისა

მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ავათმყოფები სასქესო და საშარდე ორგანოთა (606 და 914 წამლობა) მიხეილის საავათმყოფოსთან, ფოსტის ახლოს პლეხანოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე საღამოს 6—7 ნახევარ საათ 25—2536—1

ზ. ზ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა გულისა. იღებს ახალ რენტგენის-ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X ს სხივებით დიდი სალენოიდი და სევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 4—1 7—92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის

ალექსანდრე დავითის ძის

ბეჟალიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 6C შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

ტრფობა წამებული

(ისტორიული რომანი)

(დასასრული)

მახლობლად მჯდომმა მგოსანმა სიმები ააკვნესა სევდიან ხმაზედ. დამღერა ნელი რამ მოთქმა, თითქო ქვითინი, აშოტს ცრემლი მოადგა თვალზედ. თითონაც ააყოლა ღიღინი დარდიან ხმას, წინ წარსდგი თეხი, ვისმინე ხმები:

— „ჩემო სევდის ფიალავ მარად დაუშრეტელო“!..

სხვა ვეღარ ავკრიბე... სახლთ-ხუცესის შემოსვლამ შესწყვიტა მოთქმა.

— მეკრძალებოდა, მაინც გავბედე, ბატონო მეფევ!

— რა ამბავია? მტერი უკვე შემოგვესია?

— მაგას ხომ მაშინვე პირდაპირ მოგახსენებდი.

— მაშ? სთქვი!

— შუქური... ქალი უეცრად გარდაცვლილაო.

— შუქური? გარდაცვლილა შუქური?! წამოიძახა მეფემ.

და აჰკრა ხელი მაგიდას, გადასტყორცნა; წამოიჭრა ზეზე.

— ავად იყო და არ შემატყობინეთ?

— მსწრაფლ გარდაიცვალაო. ვერ მოვასწარით მისი გამოყვანა...

— ქმარო!..

[illegible] სისწრაფით მიდიოდა აშოტი მონასტერში. შინაყმანი თუ [illegible] ძლივსა სწვდებოდნენ.

შავად იყო კუბო შემკული, გარდა[illegible] თვალთა ჰფარავდა მიცვალე[illegible] თავთავიხამდნენ, შავად მოსჯ[illegible] მონაზვნები.

— [illegible] ხანი იავადა? რად არ შეგვატყობინეთ?

— [illegible]ნელად მიუწოდა უფალმა [illegible]

— პირს გადახადეთ!

— შეუძლებელია, ბატონო მეფევ: მონასტრის წესი ნებას არ გვაძლევს.

— არ შეიძლება?! გეკრძალავთ წესი?! შერისხა მეფემ.

და წარსდგა ბიჯი. პირს გადახადა. განცვიფრდა. შეძრწუნდა. დაკარგა ფერი. თვალნი აეგზნნენ.

— რას ვხედავ ამას?! სახე დაგლეჯილი, თვალნი დამწვარნი!.

დაიხარა. დაუკოცნა ნაწამებს თვალნი: გაიმართა წელში. ააპრიალა ხანჯალი. მოჰკვეთა კულული. ელვის სისწრაფით გამოტრიალდა შესძახა მკაცრად:

— სისხლი!.. ღვარი სისხლისა წმიდა ადგილას!..

— სისხლი ამისი შენზედ, აშოტო! წარსთქვა შუქურის ძმამ.

— ჰხედავ ავ სიტყვას, მონავ უგვანო! შეუტია შინაყმამ.

და ყიაში ჩასცა ხანჯალი; გადმოსწია ტარს, გადმოაპო გულის ფიცარი. შეჰკივლეს მონაზონებმა, ადგილობრივ ჩაიკეცეს შეძრწუნებულთ. გადატყდა წელში ჯიქო თებრონია, მიწას გაერთხო გრიგალისაგან მოფშენეტილი მუხა ძლიერი. წამოვიდნენ. დაწინაურდა მეფე. ვერვინ ჰბედავდა მიახლოვებას, ვერც თუ სიტყვის თქმას.

ხმა-გაკმენდილი იყო სასახლე. შავი ღრუბელი ჩამოწოლილიყო სამეფო ციხე-დარბაზში. იგლოვდა თვის სატრფოს მეფე ბუმბერაზი, ვით მომაკვდავი უბრალო: ცრემლს აფრქვევდა ცხელს. გული სწორი დაკარგა უდივრად წამებული და დასტიროდა მის აჩრდილს მისი ჰირისუფალი ერთადერთი. გადიხსნა საკინძი, ამოიღო ავ გაროზივით შენახული ოულული ქალისა, დაჰკოცნა იგი და გულთანვე შაინახა, როგორც სიწმინდე წამოდგა ზეზე. შეიბერტყა ძლიერად. ფერი იცვალა. ბუმბერაზადვე მოევლინა თვის ციხე-დარბაზს, მთელ თვის სამეფოს; მედგარ მებრძოლად. სისხლს ითხოვდა აწ ულმობელი ამისი გული, სისხლი სწყუროდა მის სულს ალად ავარდნილს, მტერთა, ორგულთა სისხლის ღვარები.

80.

— ძალიან ბევრია დახოცილი?

— სულ მუსრი აქვთ გავლებული!

— ტყვეები?

— ტყვე ცოტაა, თითქმის არ არიან ტყვედ წამოყვანილნი: უწყალოდა ჰხოცდნენ ჩვენები, აჯას აღარ ისმენდნენ.

— ესე რამ გააბოროტა ხალხი?

— დალოცვილო! ხალხი მზად არის მათი ხორცი კბილით დაგლიჯოს. შენ ომამდე არ გამოდიოდი, ღვთის ანაბარად გყვანდა ხალხი მინებებული; მტერმა ისარგებლა ამით და მთელი ქვეყანა სისხლით შეღება. არავინ დაინდო უსჯულომ; დაამდაბლა და შეაგინა ერი. მკვდართა კალოს დაჰხარხარებდა. სოფლად ავარდნილ ალზედ ხელებს ითბობდა. ეხლა ჩვენკენ არის ქორწილი და იმისთვის ვლაღობთ. აწ ჩვენი ხმალი ცეკვავს მათს ქედზედ.

— თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილ!

— ჭეშმარიტად! მაშ რა ვქნათ? მწუხრსა განისვენოს ტირილმან და ცისკარსა სიხარულმან.

— ძალიან მოტყუვდნენ. პირდაპირ ხაფანგში მოჰყვნენ. მეტადა გვვანდა გივი შენ: ცხენი, იარაღი, მოყვანილობა. ეგონათ, რომ აშოტი ილტვის ჩვენ წინაშეო; მეფეს შევიბყრობთო. ზედ კი წამოგვაწყდნენ ჩასაფრებულებს! სადღა წავვივიდნენ ამ ვიწროებში?! ფერდობებიდან ისარი თუ ქვა წამოაყარეს ჩვენებმა, მზე დაუბნელეს.

— მეუბნები, ძალიან გვგვანდაო გივი. გაქცევაშიაც მე მგვანდა?

— რა ბრძანებაა! გაქცევაში სწორედ თავის თავსა ჰგვანდა ფეხმარდი. აკი ვერც მოსწვდნენ. რა ელდა ეცათ და აირივ-დაირივნენ, როცა დაგინახეს ხევვიწროდან გამოსულთ! ხელნი დაუღუნდათ, მუხლი მოეკვეთათ.

— მთლად აჰყარეთ იარაღი და შეინახეთ! თვალის ჩინივით გაუფრთხილდით საჭურველს! ბიზანტია მხოლოდ გვპირდება, მარტო სიტყვით გვიჭერს იგი მხარს. არც იარაღი, არც კაცი! არ ესმით, რომ მათი ბედი აქა სწყდება, ჩვენს ქვეყანაში: ჩემი სამეფო ბჭე არის მათის სახელმწიფოსი. ან იქნება მართლა უძლურნი არიან იგინი, თითონაც უმწეონი, ბრძანა მეფემ.

და გამობრუნდა ნამარ ადგილიდან. ამაყად იჯდა სამანზედ იგი მრისხანე. ჩხარი გაჰქონდა მძლეველთ ჯაჭვ ჯავშანს. ბრძოლის ღმერთნი თუ იყვნენ ჩვენდა მფარველად განკაცებულნი!

ეს დიდი გამარჯვება დასაწყისი იყო ბედნიერი ბრძოლებისა; სადაც გაჩნდა მეხივით სწრაფი, ყველგან ათტა მტერი თავხედი. შეეფიქრიანდა ემირი: იმასაც წინამოადგილებსავით უცრუვდებოდა ქვეყნის დაბყრობის იმედი. საქართველოდან განდევნის შიშიც შესაძლო შეიქმნა მისთვის, თვით ტყვეობისაც. სირცხვილი თავს დატრიალებდა დაქადებულს; აჩრდილიც სიკვდილისა, აშოტი მძლავრი გრიგალივით დაჰქროდა კიდით კიდემდინ; მოძრავი რაზმებით მოსვენებას არ აძლევდა შემოსეულებს.

გაჭირებაში ჩავარდნილმა ემირმა მოიკრიბა უკანასკნელი ძალა გონებისა, მოწურა მთელი თვისი გამოცდილება ბრძოლებში ნაჩვევ-ნაწრთობმა.

თბილისისაკენ გაიწვია უდიდესი თვისი ძალები. ბრძანა სანოვაგისა თუ სამხედრო სურსათის ზიდვა თბილისისაკენ. გაამაგრეს ქალაქს გარემო ციხე-კოშკები, რჩეულნი ჩასხა სიმაგრეებში. შემოდგომა მიწურული იყო და ყველას ეგონა, თბილისში ჰსურს საზამთროდ გამაგრებაო. ემირის მახლობელნიც კი ესე ჰგონებდნენ; იგი სრულებით არავის ანდობდა თავის განზრახვას. გააღო საჭურჭლის კარი, აავსო ოქრო ვერცხლით მარჯვედ მთხრობელნი, გამცემელ გამყიდველნი. მის წონა ოქროდ შეაფასა აშოტ მძლეველი. იცოდნენ ყველა ეს აშოტმაც, მისმა თანამშრომლებმაც, გამცემელთაგან მაგდენად არ ეფიქრებოდათ: ქართველთ არ მოუდიოდა ღალატი. ის კი თითქმის სჯეროდათ, რომ ემირს განეზრახა, თბილისის მიდამოებს არ გასცილებოდა და, თუ კიდევ მოუხდებოდა ბრძოლა აშოტთან იქ შეჰბრძოლებოდა თავდამსხმელებსა.

ქვავს ახლოა: სხვა რაღა დარჩენია ემირს, ქალაქში ჩაკეტის გარდა; რამდენჯერაც გამოცდა თბილისს, იმდენჯერ დამარცხდა უსასტიკესად.

— მაინც მზად უნდა ვიყვნეთ. იქნება აუსრულდეს მას ნატვრა და ვესტუმროთ დედაქალაქშიც.

— ეგრე სჯობია! დროა განთავისუფლდეს წმინდა ქალაქი მტერად შემოსეული უსჯულოთაგან.

საჩქარო კი არ იყო ეს საფრთხილო ლაშქრობა, არც საადვილო, საჭირო იყო ამისთვის სათანადოდ მომზადებულიყვნენ: ჯერ შასვენება უხდოდა მოღლილ-მოქანცულ ლაშქარს. ბრძანა, გაემაგრებინათ ვიწროები, სასტიკად ედევნებინათ თვალი სახიფათო ადგილებისთვის. დაზამთრდა. დაიემინა მეფემ: იცოდა, ეშინოდათ აგარიანი ზამთრობით ლაშქრობისა. მათთვის უცნობი ხევ-ღრანტეები ნაიქრით სავსე, ხშირი ქარ-ბუქი საშინელი, რომელს შეეძლო თოვლ ქვეშ დაემარხა მთელი რაზმები; სიცივეს უჩვეეი ხალხი თბილად ჩაუცმელ-მოუწყობელი. ყველა ეს ხელს არ უწყობდა სარაცინთ, დაეწყოთ ფართო ომი გადამწყვეტელი.

დამშვიდდა აშოტი, მშიერი თვალი მოაშორა მტრის გზასა თუ კვალს. უწივს ზამთრის დღესასწაულებმაც. ძნელი იყო ეხლა გაუჭირებლივ ბალხის გაწევა. არც ჰქონდა ჯერ საბოლოვოდ გადაწყვეტილი თავს დაჰსხმოდა მტერს გამაგრებულ ციხე-ქალაქში. მაინც მთავარი ლაშქრის დიდი ნაწილი ისევ იარაღ ქვეშა ჰყვანდა დოლის ციხეში.

სადღესასწაულო ზეიმს მისცემოდა ხალხი, გაისმა ამბავი საშინელი: ემირი მთელი თავის ლაშქრით დაიძრა თბილისიდან; უთვალავი ჯარი მოდის და მოჰგრაგნის ტყესა და ველს დიდის სისწრაფითაო. დატრიალდა აშოტი. აფრინა ბრძანებები. იწყო დენა ლაშქარმა. ძალიან საჩქარო იყო: პატარა რაზმები ვერ გაუმაგრდებოდნენ მოზღვავებულ მტერს ვერც ვიწროებში. დაიბარა თვისი ლაშქარი დოლის ციხიდან.

დაჰგვიანებოდა. ვეღარ მოასწრო მომზადება მტრის დასახვედრად. მოსწვდნენ სარკინოზნი, დაესხნენ, სძლიეს, აოტეს. აშოტი ჯარის რამ ნაშთით შეეფარა ნიგალის ხევსა. იწყო გამაგრება. დაგზავნა კაცები ყოველ მხარესა. მიჰმართეს მშველელ რაზმებმა ნიგალისაკენ.

ეგრისელ ერთერთ რაზმს უძღოდნენ ოროხაშვილნი, შუქურის ძმები. დრო ეხელდათ იმათ სისხლის ასაღებად. ემირის ოქროსაც მოენახა გადამტერებული იგი აზნაურნი, გესლით აეპირთავებინა მათი გული. კარვის კარს რომ დაუსწორდნენ მოღალატენი, მაშინლა იგრძნო აშოტმა ზაკვაი მათი. რაზმში აგარიანნიც რეულიყვნენ გადაცმულები. შეებრძოლა მეფე ჯავშანუცმელი, იარაღ აუსხმელი. ხმალი და შერჩენოდა ხელში. დაუხოცეს მხლებელნი. აუკრა ოროხაშვილს ხმალი და გადუმტვრია. არ მოჰკვეთა თავი მის ხელთ ჩავარდნილს: შეძრწუნებულის თვალებში შუქური დაინახა; შემალღებული ხმალი სხვას ვისმე გაჰკრა გასაკვეთელად. გააპო ბრბო ავაზაკთა, მიჰმართა საყდარს. დახშულმა კარმა ერთს წამს შეაყენა. შელეწა კარი, შეიჭრა. შეჰყვნენ მოსისხლენი. შესდგა ფეხი ალსავალის კარსა. მოასწრო ოროხაშვილმა, დასცა მახვილი. დაეცა აშოტ. შეიღება საკურთხეველი ცხებულის სისხლით. ივლტოდნენ მკვლელნი. მოსწვდნენ მათ აშოტისნი, ალხოცეს ყველანი.

ვასილ ბარნოვი.

სამხედრო სამინისტროს სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 3.